დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 9 პარასკევი, 28 ნოემბერი 1908 წ.

გაზეთი „დროება" ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

1908 წლის 18 ნოემბრიდან ქ. ტფილისში გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
დროება
ერთი წლით ღირს 7 მან., ექვსი თვით—4 მან. 50 კ., 1 თვით 90 კაპ.
ცალკე ნომერი ერთი შაური.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე.

ხელის მოწერა შეიძლება: ტფილისში: „დროების" რედაქციაში (დიდი ვანქის ქუჩა N 12); „ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების" მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ., თავად-აზნაურთა ქარვასლა).

გარდაცვალებულის
კნ. მართა სვიმონის ასულის აბაშიძის
სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი შაბათს, 29 ნოემბერს, ქ. ქუთაისს, საფიჩხიის ეკკლესიაში. (2—უ—2)

ტფილისის სახაზინო თეატრი
პარასკევს, 28 ნოემბერს, გამოსამშვიდობელი გასტროლი ვ. სარაჯიშვილისა.
„ტრავიატა"
მონაწილენი: ქ-ნნი ზასლავსკაია, კალინინა მეორე, ოსიპოვა; ბ-ნი დანილევსკი, ევლახოვი, სარაჯიშვილი, ლუტჩევი, როზანოვი და სხ.
დირიჟორი **ი. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ანონსი: 29 ნოემბერს გალა: „სიყვარულის ღამე". ამ ცოტა ხანში ბენეფისი სარაჯიშვილისა.

კავკასიის სამკურნალო წყლების გამგეობა
აუწყებს ბ-ნთ მომხმარებელთ, რომ მან ტფილისში გახსნა სახაზინო საწყობი კავკასიის ბუნებრივ სამკურნალო წყლების
ნარზანის და ესენტუკისა № 20
სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების კანტორა. ტელეფონი № 148.
Дворцовая улица, д. Сараджева, контора Россійскаго Транспортнаго и Страховаго Общества. Телефонъ N 148.
ფასები საწყობში:
ვაგონობით (120 ყუთი) . 1 მ. 80. კ. ყუთი
ყუთობით (100 ნახ. ბოთლი) 12 მ. 30 კ. „
ნახევარ-ბოთლობით ჭურჭლიანად 14 კ.—
(12—6—6) დირექტორი **ს. ტილიჩეევი.**

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა გრიგ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—9)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

სამკურნალო ქუთაისში ქირურგიული და დედათა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, მუდმივ საწოლებით და მოსალოდინებელ ოთახით
ექიმი ივ. ბოკერიასი
ამ წლის 10 ნოემბრიდან გადადის პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩაზე, სადაც წინად თოფურიას სამკურნალო იყო. (6—13)

ექიმი გ. ე. ხოჯაპარუხოვი ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიღება სიფილისით, სამარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—4)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—36)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმლების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—79)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩაზე, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აფუშელიშვილის სახლში, დილით —129 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი ა. ი. აშიანცი ქუთაისში ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საჰოსპიტლო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—33.—8)

ექიმი კბილისა ქუთაისში მ. ი. ბეგიაშვილი იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—14)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—19)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—38)

სამკურნალო ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,** მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მოსალოდინებელ ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

ექიმი ივ. ბოკერია — ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—2)

გამოვიდა და იყიდება
ბროშიურა **კიტა აბაშიძისა:**
„აკაკი წერეთელი"
(სალირიკო პოეზია)
ფასი სამი შაური.
(10—უ.—4)

გეომეტრი და მარკშაიდერი
გ. ს. ასათიანი
გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**
ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, გ. ს. ასათიანი. (0—6.—61)

ქ. ქუთაისში
თ. ა. მთავრიშვილის
წიგნის მაღაზიაში
(ალექსანდრ. ქ. ბულვარის მახლობლად, დიმ. ზ. ბოკერიას შენობაში)
იყიდება ყოველგვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები.
სოფლის მასწავლებლებს, სოფლის სკოლებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ დაკლებულ ფასით.
აქვე იყიდება წიგნი **გუთანი,** ოჯახსა და სკოლაში ყრმათათვის საკითხავი, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. ფასი 80 კ. (15—6.—12)

მებელიანი ნომრები
„ხარბინი"
გიორგი მიკირტუმოვისა.
პირველ ენკენისთვიდან გაიხსნა ახლად მოწყობილი ნომრები
„ხარბინი" ქ. ტფილისში **რიყეზე**
ხოსროევის ქარვასლაში, სახლი № 92. შესანიშნავი სისუფთავეა, ფასები ზომიერია. ნომრებში იმყოფება **ექიმი** ხირურგიულისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. იღებს დილის 10 ნახევრიდან—11 ნახევარ საათამდის. (14—ხალ.—7)

შაბათს, 29 ნოემბერს, **ავჭალის სახალხო აუდიტორიაში** გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება პიესა
„უბედური ნაბიჯი"
3 მოქმ. დრამა—კარეევისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი თამარაშვილი, გოგოლაშვილი, ჩაგუნავა და მესხიშვილისა; ბ-ნი გუნია, ჯაბაური, ბაქრაძე და სხვანი.
(2—უ.—1) რეჟისორი **კ. ყიფიანი.**

ტფილისი, 28 ნოემბერი.

სპეციალისტების ერთს ჯგუფს, როგორც ამბობენ, განუზრახავს, დაარსოს ტფილისში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო კურსები. ამ საქმის ინიციატივა მიწათ-მოქმედების სამინისტროს ადგილობრივ განყოფილებას ეკუთვნის თურმე. ეს მცირედი ცნობა, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის ახალ განზრახვის საბოლოო დაფასებისთვის, მაგრამ პრინციპიალურად რომ საზოგადოებამ და მცოდნე პირებმა ამ საგნის შესახებ თავიანთ აზრი ამ თავითვე გამოსთქვან—ჩვენის ფიქრით ურიგო არ იქნება.

რადგან კურსების ინიციატივა მთავრობის დაწესებულებას ეკუთვნის, უნდა ვიფიქროთ, რომ ფინანსების მხრივ საქმეს წინ დაუძლეველი დაბრკოლება არ შეჰხვდება. ამ მხრივ უმაღლეს კურსების განზრახვა საკმაოდ მტკიცე ნიადაგს ემყარება და, თუ სხვა რამ დაბრკოლება არ გადაეღობა წინ, შეუძლებელი არ არის ეს განზრახვა ახლო მომავალში კიდეც ასრულდეს.

არ შეიძლება ვთქვათ, რომ პრინციპიალურად ყველას სასარგებლო საქმედ მიაჩნდეს უმაღლეს სასოფლო სამეურნეო კურსების დაარსება. პირიქით, ზოგი სპეციალისტი აგრონომიც კი იმ აზრისაა, რომ ამ გვარი კურსები მხოლოდ უნაყოფო ხარჯვა იქნება ფულის და პირადის ენერგიისა. ირწმუნებიან, რომ უმაღლესი კურსები ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებს ამიერ-კავკასიელთა სოფლის მეურნეობაზე, რადგან კურსები გაავრცელებენ თეორიულ ცოდნას და არა პრაქტიკულ უნარს მიწის შემუშავებისასო; ამ უკანასკნელ მიზნის შესაფერია არა უმაღლესი კურსები, არამედ მოწვევა ინსტრუქტორებისა, დაარსება საცდელ მინდვრებისა, დაბალ სამეურნეო სკოლებისა და სხვათა.

ვერავინ ვერ იტყვის, რომ ამ აზრს სიმართლესთან წილი არა ჰქონდეს. ეჭვს გარეშეა, რომ უმაღლესი სამეურნეო კურსები უფრო სხვა და სხვა რთულ სამეურნეო საკითხის თეორიულ კვლევა-ძიებას გამოეკიდება, ვიდრე ხალხში გზედ წოდებულ ემპირიულ სამეურნეო ცოდნის გავრცელებას. უეჭველია ისიც რომ ხალხის ფართო წრეებში კურსები თავისთავად ვერც ახალს სამეურნეო ტეხნიკას შეიტანენ, ვერც ახალს სამეურნეო კულტურას; ინსტრუქტორებისა, საცდელ მინდვრებისა, სამაგალითო ფერმებისა და დაბალ სკოლების როლს უმაღლესი კურსები ვერ გასწევენ. ეს სრული სიმართლეა, მაგრამ არც საგნის მეორე მხარე უნდა დავივიწყოთ. თუმცა ბევრი არა, მაგრამ ცოტა-ოდენი დაბალი სამეურნეო სასწავლებელი, რამდენიმე ინსტრუქტორი და ვითომ სამაგალითო ფერმა ეხლაც არსებობს ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ადგილას; ამის და მიუხედავად მეურნეობაზე ეს დაწესებულებანი დღემდე მაგრე რიგად თვალსაჩინო გამაუმჯობესებელ გავლენას არ ახდენენ. ეს, რა თქმა უნდა, რთული მოვლენაა, მას მრავალი მიზეზი აქვს, ხოლო ერთი მიზეზი კი სწორეთ ის უნდა იყოს, რომ აქამომდე ამიერ-კავკასიისთვის თეორიულად სასოფლო მეურნეობის საკითხების გამოკვლევას არავინ ან თითქმის არავინ ხელს არა სჭიდებს.

შემცდარია, ჩვენის ფიქრით, ის შეხედულება, ვითომ შესაძლო იყოს გერმანიაში ან საფრანგეთში შემუშავებული მეცნიერული რეცეპტები სოფლის მეურნეობისა პირდაპირ გადმოვიტანოთ ჩვენს ქვეყანაში და უცვლელად მივუყენოთ აქაურს მეურნეობას. თავიანთ სამშობლოში ამ რეცეპტების შედგენას წინ უძღოდა წმინდა მეცნიერული გამოკვლევა იქაურ ჰავისა, ნიადაგისა, გეოდეზიურ მოვლენებისა და სხვა პირობებისა. არც ერთი სამეურნეო რეცეპტი არ გამოდგება, თუ შესაფერი ანგარიში არ გაეწია ადგილობრივ ბუნების თვისებებს. ამ ანგარიშის გასაწევად კი სწორედ სასოფლო-სამეურნეო საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიებაა საჭირო. ვინ იცის, იქნება ასეთი წმინდა მეცნიერული შრომა რომ უკვე გაწეული იყოს, ეხლა ჩვენებურ დაბალ სამეურნეო სასწავლებელში კურს დასრულებულნი სასწავლებლიდან გამოსვლისათანავე დაივიწყებას აღარ მისცემდნენ ყველაფერს, რაც კი მათ სასწავლებელში ჰსმენიათ და გაუგონიათ სოფლის მეურნეობაზე? ვინ იცის, იქნება ინსტრუქტორებს თვით ხალხიც მოიწვევდა თავის საკუთარის ინიციატივით, დანამდვილებით რომ შეიძლებოდეს სთქვას კაცმა, მათის დახმარებით მეურნეობა გაუმჯობესდებაო.

პირველის შეხედვით სოფლის მეურნეობის ცოდნა პირდაპირ პრაქტიკულ ხასიათის ცოდნაა და ამიტომ—რაც უფრო ნაკლები ყურადღება მიექცევა თეორიას, მით უკეთესი. მაგრამ ეს მხოლოდ პირველის შეხედვით, ნამდვილად კი სამეურნეო ტეხნიკა და კულტურა, რომელნიც გამოარკვევენ სამეურნეო ცოდნათა პრაქტიციზმს, თითონ არიან ნაყოფნი წმინდა თეორიულ გამოკვლევებისა. ამიერ-კავკასიისთვის შესაფერი პრაქტიკული სამეურნეო ცოდნა უეჭრივ რომ იშვებოდეს დასავლეთ ევროპის მეცნიერებიდან, როგორც მინერვის თავიდან, მაშინ—საკმაო საბუთი გვექნებოდა ალმაცერად შეგვეხედნა უმაღლეს კურსებისთვის, მაგრამ სწორედ ეს არის შეუძლებელი და წარმოუდგენელი. ჩვენში არც ნიადაგის შემადგენელი ელემენტებია შესწავლილი, არც სხვა და სხვა ნივთიერებათა გავლენა ამ ნიადაგზე, არც ჰავა და არც არაფერი სხვა. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში, რაც უნდა განსწავლული ინსტრუქტორი გამოიწეროთ უცხოეთიდან, მაინც სასურველ კაცს ვერ მიაგნებთ; რაც უნდა ვეძებოთ და სადაც უნდა ვეძებოთ, ჩვენებურ დაბალ სამეურნეო სკოლებისათვის ღირსეულ მასწავლებლებს ვერ იპოვით; რაც უნდა დიდი სურვილი გქონდეთ, სამაგალითო მეურნეობის გასაჩენად საკმაოდ მომზადებულ სპეციალისტების შოვნა მაინც მძიმე საქმე იქნება. ყველაფერი ეს დამოკიდებულია სწორედ იმაზე, რომ ჩვენებურ სასოფლო მეურნეობას მეცნიერულ კვლევა-ძიების ღირსადაც კი არა სთვლიან. როცა უმაღლესი სამეურნეო კურსები დაარსდება, მაშინ იმის მეოხებით გაადვილდება ხალხში ემპირიულ ცოდნათა გავრცელების საქმეც. ვიწრო პრაქტიციზმით გატაცება იმ ზომამდე, რომ უმაღლეს სამეურნეო კურსებისაგან სარგებლობას არას ველოდებოდეთ, ჩვენის ფიქრით, შეცდომაა. ამიტომაც, ზოგიერთ აგრონომის აზრის წინაღმდეგ ჩვენ სასურველად უნდა მიგვაჩნდეს, რაც შეიძლება მალე ეღირსოს განხორციელება უმაღლეს სამეურნეო კურსების განზრახვას.

* *
*

ბუმბერაზ მთებსა, მიდუმებულებს,
მზემ სხივი სტყორცნა, ააელვარა,
და ჩამონაკად მის მოციქულებს
მოათხრობინა დილის სიმღერა.

ხვამლმა იალბუზს ჰკადრა სალამი,
შუქმა მყინვარი ააკაშკაშა
და მოქარგული მისგან ალამი
სიომ ამაყად შეათამაშა.

ქედი ქედს დაჰკრა ცელქად რიონმა,
მტკვარმა დუდუნით მოუთხრო ბანი
და გულს ჩაიკრა ცის კაბადონმა
სამშობლო ქვეყნის წმინდა აკვანი.

დიადი იყო მთების კალთებზე
წამითი-წამად შუქ-ფერადობა,
სხივთა თამაში ცისა ტატნობზე,
შეკამათებით ცვალებადობა!.

აქ თითქო ქვეყნად თვით გამოცხადდა
ძნელ გამოცანა რამ იდუმალი,
როს ელვარებით ასხივ-ფერადდა
ზესთა ბუნების თვით ძალთა-ძალი!..

მაგრამ ვით ვიტყვი ქებათა-ქებას?—
გულსა ტანჯულსა არ ელხინება:
ბუნების ძალთა ელფერ-შვენებას
მეტყველთა ტანჯვა ევვირგვინება!..

სამშობლოს შვილებს უხვების ხელით
სისხლი და ოფლი ერთად უღვრიათ,
მაგრამ იობის თვით განსაცდელით
ღვარძლი ჯერაც ვერ ამოუფხვრიათ!..

ოჰ, წამებულო, კაცთავ ბუნებით!
ოდეს იხილო დღე შუქ-მზიანი?..
ამაღლდე გრძნობით, დასტკბე შვენებით...
და მკვდრეთით აღსდგეს ადამიანი!..

დ. თომაშვილი.

აკაკის იუბილეი

სომხური დრამატიული საზოგადოება. სომხურმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაადგინა, მიართვას ადრესი იუბილიარს. დელეგატებად აირჩია თავმჯდომარე საზოგადოებისა გ. მ. წურინოვი, მდივანი გამგეობისა ლ. გ. ბაბაიანი და ყოფილი თავმჯდომარე მ. ა. ჯაბარი.

ქალაქის ქართული სკოლები. ამ დღეებში ტფ. ქალაქის ქართულ სკოლების გამგეებმა განცხადება შეიტანეს სასწავლებელთა კომისიაში. გამგეები განცხადებაში საჭიროდ სცნობენ, რომ ქალაქის სასწავლებლებმაც მიიღონ მონაწილეობა მგოსნის აკაკი წერეთლის საიუბილეო დღესასწაულში. გამგენი ითხოვენ, სხვათა შორის, გაიმართოს ქალაქის სკოლების მოსწავლეთათვის სალიტერატურო დილა.

დღეისთვის დანიშნულია სხდომა სასწავლებელთა კომისიისა, რომელმაც, სხვათა შორის უნდა განიხილოს ეს განცხადება გამგეებისა.

ადრესების მირთმევის წეს-რიგი. მთავარმა საიუბილეო კომიტეტმა სთხოვა პროვინციალურ კომიტეტებს და დღესასწაულში მონაწილეობის მიმღებ კერძო თუ საზოგადო დაწესებულებებს, 6 დეკემბრისთვის მთავარ კომიტეტის სხდომაზე თითო დეპუტატი მაინც გამოგზავნონ. ამ სხდომაზე შეიმუშავებენ მილოცვებისა და ადრესების წეს-რიგს.

კრებული. როგორც აღვნიშნეთ, პროვინციის კომიტეტები სთხოვენ მთავარ-კომიტეტს ხალხში გასავრცელებლად აკაკის სურათებს, ღია ბარათებს და რჩეულ ლექსთა კრებულს. დღემდე ასეთი მოთხოვნილება 20 კუთხიდან მოუვიდა კომიტეტს. ჯერ-ჯერობით ოცი-ათასს ცალზე მეტი კრებული მოითხოვეს ამ ადგილებიდან.

თელავი. ნოემბრის პირველ რიცხვებში თელავში მოხდა კრება აკაკის იუბილეის შესახებ მოსალაპარაკებლად. სამწუხაროდ, კრებას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, რაც ზოგმა იმით ახსნა, რომ ყველამ არ იცოდაო. კრებაზე ილაპარაკეს, თუ როგორ იდღესასწაულონ თელავსა და კახეთში აკაკის იუბილეი. დღესასწაულის პროგრამის საბოლოოდ შესამუშავებლად და აღსრულებაში მოსაყვანად აირჩიეს კომიტეტი. კომიტეტმა რამდენჯერმე უკვე იქონია მსჯელობა და შეიმუშავა შემდეგი: 7 დეკემბერს აქაურ საკრებულო დარბაზში გადახდილ იქნას პარაკლისი; პარაკლისის წინ ერთი მოძღვარი წარმოსთქვამს შესაფერ სიტყვას. პარაკლისის შემდეგ დაიწყება სალიტერატურო დილა აკაკის ბიოგრაფიით. წაიკითხავენ პოეტის რჩეულ ლექსებს, ხორო შეასრულებს სიმღერებს. დილა დაგვირგვინდება აპოთეოზით. საღამოთი გაიმართება წარმოდგენა პოეტის ფონდის სასარგებლოდ. დილა უფასო იქნება და დანიშნულია განსაკუთრებით მდაბიო ხალხისათვის.

როგორც ერთ სხდომაზე გამოირკვა აქაურ სასწავლებელთა მასწავლებლებს სდომებიათ იუბილეის გადახდა, მაგრამ თავიანთი უფროსებისა ეხათრებათ თურმე; ამიტომ ადგილობრივმა კომიტეტმა უკვე მისწერა ტფილისში მთავარ კომიტეტს, აქაურ სასწავლებლებს გამოუთხოვოს ნებართვა და ამას გარდა სთხოვა 1000 ცალი წიგნაკი უფასოდ დასარიგებლად 7 დეკემბერს, როგორც თელავში, ისე სოფლებში.

ამას გარდა, ადგილობრივი კომიტეტი მისწერს თითქმის ყველა სოფლის მღვდლებს, გადაიხადონ პარაკლისი და შემდეგ გააცნონ სოფლელთ აკაკის ვინაობა. ამათ წიგნაკებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეგზავნებათ ხალხში დასარიგებლად.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქალაქის გამგეობაში ჯერ ჩუჩუნი არ არის დღესასწაულში მონაწილეობის მიღების შესახებ. **დავიწყებული.**

მოსკოვი. მოსკოვში, როგორც „ზატ. გოლ."-ს ატყობინებენ, 15 ნოემბერს, არტისტის და დრამატურგის ალექსანდრე სუმბათაშვილის თავმჯდომარეობით, მომხდარა „ქართულ საზოგადოების კრება". კრებას დიდძალი ხალხი, განსაკუთრებით სტუდენტობა, დასწრებია. სხვა საკითხებს შორის კრებაზე აკაკის იუბილეიზედაც ყოფილა ლაპარაკი, ამის შესახებ ჩვენ გაზეთში უკვე იყო მოკლე ცნობა. გამგეობას შემდეგი წინადადება შეუტანია: გაუგზავნოს იუბილიარს მისალოცი დეპეშა, დაარსოს იმის სახელობის სტიპენდია და გაიმართოს სადღესასწაულო სხდომა, რომელზედაც უნდა წაკითხულ იქნას ბიოგრაფია, რეფერატები და აკაკის ნაწარმოებნი. ამ სხდომაზე მისაწვევი ბარათი გაეგზავნა ყველა მოსკოველ ლიტერატორს.

ბაქო. „ვესტ. ბაკუ"-ს სიტყვით, ადგილობრივ ქართველებსაც განუზრახავთ საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მიღება. 23 ნოემბერს უკვე მომხდარა ადგილობრივ ქართველების კრება. წინად არჩეულ კომისიას მოხსენება წაუკითხნია. კომისიას დაუდგენია: 1. 7 დეკემბერს არ გაიმართოს საიუბილეო საღამო; ასეთი საღამო გაიმართოს შემდეგ; 2. ეთხოვოს იუბილიარს, პირადად დაესწროს საღამოს; 3. არჩეულ იქმნას სამი დელეგატი ტფილისში გასაგზავნად. პირველ დადგენილებას კამათი გამოუწვევია, მაგრამ კრებას მაინც დაუდგენია საღამოს გადადება; ამასთან იმავე კომისიისთვის მიუნდვია ამ საღამოს გამართვა 7 დეკემბერის შემდეგ. იუბილიარის მოწვევა მაინცა და მაინც საჭიროდ არა სცნეს საქმისთვის. დელეგატებად აირჩიეს თავ. დადიანი, მ. თაქთაქიშვილი და ექ. ელიაშვილი; მათ კანდიდატებად—გელოვანი, საყვარელიძე და დმანარაძე.

1844 წ. გაუქმებული კაკის*) სამთავრო

მცირე მიმოხილვა

კაკის სამთავროს სივრცე და საზღვრები.—როდის დაარსდა კაკის სამთავრო.—მისი მთავარნი გურამიშვილები.—დღევანდელი სულთნოვები, ლეგენდა მათ ჩამომავლობაზედ.—რუსეთთან შეერთება სამთავროსი.—აზუდ-ხანი.—უკანასკნელი მთავარი კაკისა დანიელ-სულთანი.—დანიელის გაქცევა შამილთან.—ღალატი და ზაქათალაში დაბრუნება.—კაკის სამთავროს გაუქმება 1844 წელს.

ქართველი საზოგადოება იმდენად ნაკლებად იცნობს საინგილოს, რომ იქნება არც კი გაეგონოს, რომ 1844 წლამდის საინგილოში ცალკე სამთავრო არსებობდა, რომელსაც მყვირალა სახელი „სასულთნო" ერქვა და მის გამგეს კიდევ სულთანი. თუმცა ირაკლი მეორე თავის სახელწოდებაში კაკის მფლობლადა სთვლიდა თავისს თავს, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით იყო, საინგილოს დიდი ნაწილი, სასულთნოდ წოდებული, დიდი ხანია განკერძოვებული იყო საქართველოს სხეულისაგან და უდიდესი მისი სოფელი კაკი, რომელშიაც ინგილოთა სრული მაჯისცემა იყო, სხვის საკუთრებას შეადგენდა. კაკის ანუ, როგორც თათრები ეძახდნენ, ელისოს სასულთნოს ეჭირა დღევანდელი კაკის საბოქაულო ყარასუნიად, მუხახის ხეობა ჭარის საბოქაულოსი და დაღესტნის მხრიდან სამუხის ოლქის ის ნაწილი, სადაც სოფლებია წახური, კირმიწა და სხვანი,**) რომელთაც ძველად წუქეთი ერქვათ და საქართველოს პროვინციას შეადგენენ.

ამ სასულთნოს მთავრებად იყვნენ, ვინმე გურამიშვილები (თათრული წყაროებით—ქუძამ ფილები), რომელთა ჩამომავალნიც დღეს სულთანოვებად იწოდებიან. როდესაც შაჰ-აბაზმა ააოხრა საქართველო და მრავალნი ყიზილბაშში გადაასახლა, მაშინ დაობლებულსა და გ ვერანებულს ქვეყანას ძერასავით დასტრიალებდა და უნდოდა სრულიად აღეგვა იგი პირისაგან ქვეყნისა. იგი გრძნობდა, რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმის აზრის განსახორციელებლად გაღმა-მხარის, ***) საქეთად წოდებული, სადაც ქართვექართველოს ამ განაპირა კუთხის, საიდან შესაძლებელი იყო მუდამ შიშში ჰყოლოდა კახეთი და საქართველო. ამისთვის შაჰის შეხედულებით საკმაო არ იყო მარტო ქვეყნის დაპყრობა; საჭირო იყო სარწმუნოებით შეერთება გაღმა მხარისა სპარსეთთან, მაშინ უფრო მკვიდრი ნიადაგი ჩაეყრებოდა სპარსეთის ინტერესებს და მით უფრო საშიში იქნებოდა იგი საქართველოსათვის. ამიტომ ყოველ ღონეს ღონობდა მუსულმანობა განემტკიცებინა მკვიდრთა შორის, და სხვა და სხვა საჩუქრებითა და დაპირებებით იბირებდა თავისს მხარეზედ გავლენიან თავადიშვილებს გაღმა მხრისას. პირველი ასეთი მოღალატე მამულისა და სარწმუნოებისა იყო ვინმე გურამიშვილი. სარწმუნოება გამოცვლილს გურამიშვილს შაჰ-აბაზმა კაკის ნაწილი მისცა და მთავრის უფლებებით შემოსა, იმ პირობით, რომ მუდამ მონა-მორჩილი ყოფილიყო სპარსეთისა და მისი ინტერესები დაეცვა. ამას მოწმობს თვით შაჰის ფირმანიცა, 1527 წელს ნაბოძები, რომლითაც შაჰი აძლევს გურამიშვილებს კაკის ნაწილს: კაკის ნაწილის მიწებს, რომელიც ქართველთა მეფეების სამფლობელოს შეადგენდა, უმოწყალესად ვუბოძებთ სრულს საკუთრებად ქართველს გურამიშვილს და მასვე ვნიშნავთ ამ სამფლობელოს გამგე-მთავრად. ამასვე იმეორებენ და ამტკიცებენ სხვა შაჰებიც.

მოვიყვანოთ კიდევ ორს ფირმანს. ერთი მათგანი ნაბოძებია 1624 წელს ხოლო მეორე 1635 წელს და მიცემულია შაჰ-სოფისაგან. აი, პირველი დაახლოვებით რას ამბობს: სამფლობელოს კაკის, რომელიც ეკუთვნოდათ და განაგებდნენ ქართველნი გურამიშვილები, ვუმტკიცებთ მათ ჩამომავლებს ზაალბეგსა და კასუმბეგსა. ყმანი და ქვეშევრდომნი ამა სამფლობელოსი უნდა დაბრუნდნენ თავ-თავიანთს ადგილს ისევე ემსახურონ ზაალბეგსა და კასუმბეგსა, როგორც მათ მამას ქურამკილის: მეორე გოობეგმა ქურა კილიმ, ჩამომავლობით ქართველმა, წარმოგვიდგინა ფირმანი ჩვენის წინა მოადგილისა, რომლითაც მათ ნაბოძები აქვთ უმაღლესად სამფლობელო კაკისა და უქვეშევრდომილესადა გვთხოვს ჩვენც დავადასტუროთ იგი. ვუსრულებთ რა თხოვნას გიობეგს, უბრძანებთ იყვეს მუდამ ჩვენი მუყაითი და დაიმსახუროს ყურადღება ჩვენის ძმის როსტომ ხანის. ****)

ასეთია ისტორიის განაჩენი და უტყუარი მისი საბუთები, მაგრამ, როგორც დღევანდელი სულთანოვები ისე ზოგიერთნი სხვანიც ამბობენ, კაკის სამთავროს გამგენი ჩამომავლობით ლეკები იყვნენ და დაღესტნიდან ჩამოსულნი. ამას აფუძნებენ ერთს ხალხურს გადმოცემაზედ. აი, ეს გადმოცემა-ლეგენდაც: წახურში შეთქმულობა იყო მთავრის წინააღმდეგ, რომელიც მეტად უდიერად ეპყრობოდა ხალხს. მოთმინებიდან გამოსული ხალხი ამბოხდა და მთავართან ერთად გასწყვიტა მთელი მისი გვარეულობაც. გადარჩა თურმე ერთი ფეხმძიმე დედა-კაცი, რომელიც სტუმრად იყო სხვა სოფელში და გაიგონა თუ არა სამთავროს გვარეულობის ამოწყვეტა, გამოიქცა სოფელ ელისოში, იქ ეყოლა ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად ალიბეგი უწოდეს და რომელიც შემდეგში ხალხმა აირჩია სულთნად. *****)

როგორც ჰხედავთ ეს ამბავი უფრო ლეგენდრულია და შორს უნდა იყვეს სიმართლეზედ, მეორედ კიდევ თუ წახურელებმა ვერ გაუძლეს თავიანთ მთავრობის სისასტიკეს და ამოსწყვიტეს, მათი მეზობლები რაღა მოსაზრებით ამოირჩევდნენ მთავრად მათს ჩამომავალს? ვთქვათ ეს გინაც ასე იყვეს, მაგრამ თვით წახურის სამთავროც, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, რას წარმოუდგენდა ძველად? იგი საქართველოს მთის პროვინცია იყო (Горный магалъ) წულოთა ტომის ხალხი მოსახლეობდა და სადაც ქრისტიანობა და ქართველობა ძლიერი იყო 1550 წლამდის მაიც, როგორც ამას მოწმობს უტყუარი საბუთები******). მაშ სადამე, გინდა თვით სულთანოვების თანახმად კაკის მთავრების ჩამომავლობა წახურიდგან ვიგულისხმოთ, მაინც ამით მათი ქართველური ჩამომავლობა არა თუ ბათილდება, პირიქით უფრო მტკიცდება. ასე თუ ისე, ელისოს სულთნების ქართველური ჩამომავლობა ყოველ ეჭვს გარეშეა, თუმცა ეხლანდელი სულთანოვები არწმუნებენ ყველას რომ ჩვენი წინაპარნი დაღესტნელი ლეკები იყვნენო და ამით გულ-უპრყველო მკითხველნი შეცდომაში შეჰყავთ.

ედილი.

(შემდეგი იქნება)

---

*) კაკი, უდიდესი სოფელია საინგილოში. ძველად ქალაქი ყოფილა.

**) იხ. 1873 წელს გამოცემული ელისოს სასულთნოს რუქა.

***) დღევანდელი საინგილო საქართველოს მეფეების დროს ცნობილი იყო გაღმამხრად, ხან კიდევ კაკ-ენისელად. სიტყვა საინგილო მხოლოდ წარსულ საუკუნეში შემოვიდა ხმარებაში.

****) იხ. „Труды V археологическаго съѣзда".

*****) Журналъ Закат. сословно-поземельной комиссіи.

******) იხ. წარწერანი ლ. მ. მაღალაშვილიანთ სახარებისა, რომელიც მ. ჯანაშვილის საქართველოს ისტორიაშია მოყვანილი.

ახალი ამბავი

ტფილისი

ვლ. მესხიშვილის რეჟისორად მიწვევა. არტისტი ვლად. მესხიშვილი მოსკოვში „აკვარიუმი"-ს თეატრს რეჟისორად მიუწვევია. აქამდე ვ. მესხიშვილი ოდესის თეატრის დასში იყო.

◆ **ტფილისის პოლიცმეისტერი**. „კავკაზ"-ში დაბეჭდილია ოფიციალური განცხადება. პოლკოვნიკის ზასიპკინის ტფ. პოლიცმეისტრად დანიშვნის შესახებ.

◆ **სოფლელთა შუამდგომლობა**. თიანეთის სასოფლო საზოგადოების რწმუნებულს ივანე განქილაშვილს და დავით ფირცხელაურს კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავთ, დაარსონ მათს საზოგადოებაში საფეიქრო სკოლა-სახელოსნო. ესეთივე შუამდგომლობანი აღუძრავთ თიანეთის მაზრის სხვა სოფლის საზოგადოებათაც (ზ. ო.)

◆ **უბედურება რკინის გზაზე**. 25 ნოემბერს ერევნის გზაზე, ეჩმიაძინის სადგურის მახლობლად, საქონლის მატარებელი ლიანდაგიდან გადავარნილა. 13 ვაგონი დამტვრეულა. მომკვდარა სამი კაცი: ობერკონდუქტორი [illegible] კონდუქტორი, [illegible] მონტის მუშა მჩეტინინი.

◆ **თელავის ქალაქის თავი**. როგორც თელავიდან გვატყობინებენ, ქალაქ თელავის ხმოსნებს ქალაქის თავად მიუწვევიათ თავ. ალექსანდრე რევაზის ძე ვახვახიშვილი.

◆ **წერეთლისა და ჯაფარიძის გადმოყვანა**. „ვესტნ. ბაკუ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „უტრო" იუწყება, რომ მეორე სათათბიროს დაპატიმრებულ დეპუტატებს წერეთელსა და ჯაფარიძეს ნება მიეცათ, თავიანთ ხარჯით ქუთაისის საპყრობილეში გადავიდნენ. ამისათვის საჭიროა 500 მანეთი, მათ კი არა აქვთ".

◆ **სკოლა მოზარდ ქალთათვის**. ტფილისის მასწავლებელ ქალთა საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, დაარსონ ტფილისში მოზარდ ქალთა სკოლა. ამ სკოლაში მიიღებიან 14—15 წლის ქალები. სკოლაში სწავლა ნაშუადღევის 3 საათიდან იქნება და, წერა-კითხვის გარდა, ასწავლიან ხელ საქმესაც ჭრაკერვას, ქსოვას, ქარგვას და სხვა.

◆ **გაზეთი არ გამოსულა**. გუშინ გაზეთი „სავაჭრო გზა" არ გამოსულა.

◆ **ღონისძიებანი საქონლის ჭირის წინააღმდეგ**. ტფ. გუბერნატორმა დაავალა მაზრის უფროსებს, განუმარტონ სოფლის პოლიციას, რომ საქონლის ჭირის გაჩენის დროს საჭიროა დაუყოვნებლივ მიიღონ ხოლმე შესაფერი ღონისძიებანი. ჭირის გაჩენის ამბავი სოფლის პოლიციამ ბეითალს აცნობოს და ვიდრე იგი გაჩნდებოდეს, ავადმყოფი საქონელი კარგა მყოფს მოაშოროს; ერთი სოფლიდან მეორეში არ გაუშვას ჭირიანი საქონელი და სხვა.

◆ **სალებავ-საქსოვი სახელოსნო**. კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა გადასწყვიტა, მუშტაიდში გამართოს სალებავი და საქსოვი სახელოსნო. კომიტეტმა დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა, რომ სახელოსნოსათვის დაეთმოს საჭირო ადგილი და თითონ სახელოსნოს მოსაწყობად გადაიდოს ერთდროულად

ფელეტონი

რუსთა შორის

რითი დავიწყო?—სასულიერო აკადემია და ავტონომია.—საშიში სურათი.—ჭეშმარიტი და არა ჭეშმარიტი გაზეთები.—ქარხნებში მომუშავეთა ბავშვები.—ებრაელების კალონია და „აბრუნდი".—მღვრიე რედაქტორი.—ერისთვისაც და ჯიბისთვისაც.

უნდა გამოვტყდე და მოგახსენო, მკითხველო, რომ აღარ ვიცი, რითი დავიწყო და რაზე გელაპარაკო დღევანდელ ფელეტონში. განსაკუთრებულმა წესებმა და განკარგულებებმა რაღაც ჯადოსნურად გაერთფეროვნეს ვითომდა „განახლებულ რუსეთის" ცხოვრება. საზოგადოებრივ ცხოვრებას აღარავითარი სიცოცხლე აღარ ეტყობა. კაცს ეგონება, რუსეთში მარტო „ჭეშმარიტი რუსები" ბატონობენო. ეგონება კი არა, მართლაც ასეა. გაზეთების გადათვალიერების დროს, ეჭვი, არ არის, მკითხველი გაოცებულია და გუნებაში ამბობს, ნუ თუ რუსეთში ცუდის მეტი აღარაფერი ხდება, რომ სულ ამით გვიმასპინძლდებიანო; ნუ თუ მართლა რაიმე საიმედო სიცოცხლის მომასწავებელი არაფერია და სულ რეაქცია, რეაქცია და რეაქციაო.

იქნებ რეაქციის გარდა სხვა ძალებიც მუშაობდნენ, მაგრამ რა ჰქნას ჩემი თანა მემატიანემ, როდესაც სხვა ყველაფერი დაჩრდილულია და კიდეც რომ ხდებოდეს კარგი, ვერ ამჩნევს! რუსეთის რომელი გაზეთიც გინდათ გადაშალეთ და გაკვირვებული დარჩებით, იმდენი ადგილი უჭირავს რეაქციას. ჰკითხულობ, ჰკითხულობ და ბოლოს სადღაც [illegible] გვერდზე თუ შეხვდები რაიმე ცხოველმყოფელ, სასარგებლო მუშაობას, მაგრამ იმასაც ისე უმნი- [illegible] თავს ანებებ და ივიწყებ. მაშ რითი დავიწყოთ? რა თქმა უნდა, ისევ რეაქციით და „ჭეშმარიტი რუსებით".

სხვაფრივ არც შეიძლება. რეაქციის მოღვაწეობა დღეს ყველაფერზე მრავალ-ფეროვანია. ვერც ერთს კუთხეს, ადგილს, ქალაქს თუ სოფელს ვერ ნახავთ, რომ თქვენ თვალწინ რეაქცია არ დაერქოს. როგორღაც შეუყვარდა ამ ვაჟბატონს რუსეთი, თუმცა იმას კი აღარა კითხულობს, უყვარს იგი რუსეთს თუ არა. სწორედ იმ ერთი მთხოვარსავით ირჯება, რომელმაც ჯერ კარებთან დადგომა სთხოვა სახლის-პატრონს, მერე ბუხართანაც მოიკალათა და ბოლოს ხომ ყველაფერს მიუსვ-მოუსვა.

* * *

მაგალითები გნებავთ? სხვა ნურაფერს მოითხოვთ და ეს ადვილია. უნივერსიტეტის შესახებ ყველაფერი მოგეხსენებათ, ამაზე საკმაოდ დაიწერა. სამინისტრომ თავისი მოვალეობა უკვე მოიხადა—უნივერსიტეტი გასწმინდა და „გაასუფთავა". ეხლა ჯერი სინოდზე მიდგა. მოგეხსენებათ ჯიბრის საქმე: მოდი და ნუ ეცდები სხვაზე დაწინაურებას!

ამ ჟამად რევიზიაა სასულიერო აკადემიებისა. რევიზიას ეწევიან ავტონომიის მოწინააღმდეგენი და, რა თქმა უნდა, აკადემიის ავტონომიას ისინი თავიანთ ანგარიშებში თავისებურად აუგებენ ანდერძს. მოსალოდნელია, რომ აკადემიაც მალე ეღირსება ავტონომიის მოსპობას. ესეც კია, რომ აკადემიას ფაქტიურად აქამდისაც არა ჰქონია ავტონომია, ბევრჯელ მომხდარა, რომ სინოდს აკადემიის მიერ არჩეული რექტორი არ დაუმტკიცებია და თავის სასურველი კანდიდატი დაუნიშნია ამ ცოტა ხანშიც, როგორც [illegible] კონოვალოვს ჩამოართვა მაგისტრის ხარისხი, რომელიც პროფესსორებმა აკუთვნეს. სინოდს, აკადემიის ავტონომიის ძალით, უფლება არა ჰქონდა ჩარეულიყო ამ საქმეში, მაგრამ „ჭეშმარიტ რუსების" გავლენა დიდია რუსეთში.

მაშ თუ ასეა, რაღა უნდა მოსპოს სინოდმა? არ ვიცი. ალბად, თვითონ სიტყვა „ავტონომია", რომელსაც ეხლა ასე წარა-მარად ხმარობენ „შეუგნებელი" პროფესორები. ამის შემდეგ ეს აღარ მოხდება, პროფესსორები და სტუდენტები ვეღარას გაბედავენ და „ჭეშმარიტი რუსებიც" დამშვიდდებიან.

* * *

სწორედ გასაოცარია ამ „ჭეშმარიტ რუსების" საქმე. კურთხეულ რუსეთში ყველაფერი იმათ გუნებაზეა, მაგრამ მოწონებით-კი არაფერი არ მოსწონთ. პოლიტიკას აღარა სჯერდებიან და ყველაფერში ეჩხირებიან. სასწავლებელი და თეატრი რა პოლიტიკის ადგილია, მაგრამ იქაც-კი ღალატი აღმოაჩინეს. „კრამოლა" და „კრამოლაო", გაიძახიან წამ და უწუმ. აბა, თუ ღმერთი გწამთ, სურათის „კრამოლნიკობა" ვის გაუგონია, მაგრამ ამ ვაჟბატონებმა აქაც-კი გამჭრიახობა გამოიჩინეს.

ქალაქ ვიატსკაში ახალი პოლიცმეისტერი დაუნიშნიათ. პოლიცმეისტერს ქალაქის დათვალიერება მოუნდომებია და, სხვათა შორის, **სკოლის საწყობშიაც** შესულა. იქ ტოლსტოის სურათი ყოფილა ჩამოკიდებული. შეიძლება პოლიცმეისტერს ვერც კი დაენახა სურათი, მაგრამ „ჭეშმარიტ რუსებს" წინდაწინვე ჩაუკენჩნიათ ყველაფერი. პოლიცმეისტერსაც ადვილად შეუმჩნევია სურათი, ძალზე სწყენია და [illegible] ნობებია ეს „საშინელი" ამბავი. გუბერნატორს ქალაქის გამგეობაში სასტიკი შეკითხვა შეუტანია. საწყალმა გამგეობამ აღარ იცის თურმე, რა ჰქნას, რითი გაიმართლოს თავი. მართლა და ხუმრობა საქმე ხომ არ არის! ფული რომ გაეფლანგა გამგეობას ან სხვა რამ ამისთანა ჩაედინა—ბევრი არაფერი იქნებოდა: ფული შესჭამეს, რა ვუყოთ მერე, ფული ჯერ ერთი შესაჭმელად არის გაჩენილი და მეორე კიდევ მოიჭრება, არ მოიჭრება და საზღვარეთის კაპიტალისტებს ბევრი ფული აქვთ და ისესხებენ. დიაღ, „კრამოლის" აღმოფხვრა ძნელია, ფულის შოვნა-კი ადვილი.

* * *

სასწავლებელი, სამკითხველო, სურათები, რაღა დარჩა ნეტავ? ჰო, მართლა გაზეთი, მაგრამ გაზეთიც რომ ვეღარ წაუკითხნიათ თავიანთ სურვილისამებრ რუსეთში. აქაც ერევიან საქმეში და ბრძანებას-ბრძანებაზე სცემენ—ესა და ეს გაზეთი წაიკითხეთო; თქვენ რომ კითხულობთ, ის გაზეთები ცუდ გზაზე დაგაყენებთო; „რეჩი", „რუსკია ვედ.", „რუსკოე სლოვო", „რადი" ცუდი მიმართულების გაზეთებია და ნუ წაიკითხავთო მერე ვინ ურჩევს ამას,—ურჩევს რა სათქმელია!—ვინ უბრძანებს? ვინც გნებავთ, ყველა, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირიდან" დაწყებული ბოქაულ-ურიადნიკებამდე. რა ვუყოთ, რომ ურიადნიკმა ხშირად თვითონაც არ იცის კითხვა, ამისი მადლიერი არც თვითონ არის, მაგრამ ეს ხომ იმას არა ნიშნავს, რომ ვინც კითხვა იცის, თავი უნდა დაიღუპოს!

ჩერნიგოვის სამკითხველოში თურმე ზემოდ მოყვანილ გაზეთებს იწერდნენ. ამისთვის ყურადღება მიუქ- [illegible] ხველოს გამგეებისთვის ურჩევია, გამოიწერონ „ჭეშმარიტი" გაზეთები „ნოვოე ვრემია", „როსსია", „კიევლიანინი" და სხვა ამისთანა გაზეთები და თან გაუფრთხილებია, თუ არ აასრულებთო...

* * *

მაგრამ თავი დავანებოთ პატარა ხანს რეაქციას და მის მეთაურს „ჭეშმარიტ რუსებს".

ამ დღეებში საქარხნო ექიმების კრება მოხდა. ამ კრებაზე ექიმმა ი. ს. ვაგნერმა წაიკითხა მოხსენება ქარხნის მუშათა ბავშვების შესახებ. მოხსენება საინტერესო სტატისტიკურის ცნობებით.

მოგეხსენებათ, საქარხნო მუშების გაჭირვება. ხშირად ქმარი რომ ვერ ასდის ოჯახის გამოკვებას, ცოლს იშველიებს ხოლმე. ეხლა, თქვენ წარმოიდგინეთ, პატარა, უსუსური ბავშვი, რომელსაც თავს ანებებს დედა და ქარხანაში სამუშაოდ მიდის, ამიტომ არსად იმდენი ბავშვი არ იხოცება, რამდენიც ქარხნების მუშებს შორის. ვაგნერის სიტყვით, 100 მუშაზე 59-64 კვდება, ე. ი. ნახევარზე მეტი. ვაგნერის გამოკვლევით, საქარხნო მუშების ბავშვებში ნახევარი წლისა უფრო მეტი იხოცება. ამ ხანში ამათი სიკვდილის რიცხვი 17 პროცენტით მეტია ქალაქისა და სოფლის ბავშვების სიკვდილის რიცხვზე. ნახევარი წლის შემდეგ სიკვდილი თან და თან კლებულობს ასე: ერთ წლამდის იხოცება 51 პროცენტი, ხუთ წლამდის 10 პროცენტი და ათ წლამდის ერთ პროცენტზე ცოტა მეტი. ამ ბოლო წლებში (წლები ნაჩვენები არ არის) მომკვდარა 8,403,031 ბავშვი საქარხნო მუშებისა, აქედან 4,786,179 ბავშვი მომკვდარა ნახევარ წლამდის.

საგულისხმიერო ცნობებია, მკი- [illegible] ბოდა, რამდენი ცრემლი დაიღვრებოდა. ვინ იცის, რამდენი ბავშვის გადარჩენა შეიძლებოდა, პატრონი რომ ყოფილიყო!

ამ უბედურების ასაცილებლად ვაგნერს სულ მარტივი საშუალება გამიაჩნია: დედამ თავის ძუძუთი უნდა გაზარდოს თავისი ბავშვიო; საჭიროაო, ვიდრე ბავშვი ნახევარი წლისა შესრულდებოდეს დედა სულ განთავისუფლდეს სამუშაოსაგან, მხოლოდ ჯამაგირი კი ეძლიოს; ამისთვის საჭიროა დედების დაზღვევაო.

ოღონდაც რომ საჭირ[illegible] ვინ აქცევს ამას ყურადღებას?! დღეს ქარხნებში დედას მხოლოდ ნახევარი საათით ანთავისუფლებენ ბავშვისათვის ძუძუს მოსაწოვებლად...

დიაღ, ბევრი რამეა საჭირო დღეს რუსეთში, მაგრამ ყურადღებას ამას კი არა, სულ სხვა რამეს აქცევენ. სანიმუშოდ ერთ ამბავს მოგახსენებთ.

* * *

ეკატერინოსლავის გუბერნიაში ებრაელების კოლონიებია. ამ კოლონიებში ებრაელების მიწის მუშაობას მისდევენ. მარტო ის ფაქტი, რომ იქ ებრაელები სახლობენ, საკმაო იყო, ბევრს ლუკმა ყელზე დასდგომოდა. ბევრი უარეს კოლონიებს და ბოლოს გადასწყვიტეს მათი რევიზია. რევიზორად ვიღაც გრიგოროსულო დანიშნეს. მოულოდნელად გრიგოროსულო სინიდისიერი კაცი აღმოჩნდა და ყველაფერს თავისი სახელი უწოდა, გრიგოროსულომ რევიზიის შემდეგ საგუბერნიო მმართველობას მოხსენება წარუდგინა. მოხსენებიდან სჩანს, რომ კოლონიები მშვენიერ მდგომარეობაში [illegible] ებრაელები მხნედ მუშაობენ და ადგილობრივ გლეხებზე გაცილებით [illegible] ყოფაში არიან. მიუხედავად [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

22,000 მან. ხოლო ყოველ წლიურად 5,000 მან. ეს ფული კავკასიის [illegible] უნდა გადაიდოს.

◆ **სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობა „ილბუზი“.** ბ-ნთ ა. ღულაძემ, შ. ცინცაძემ, კ. მგელაძემ და სხვებმა ტფილისში დააარსეს ახალი სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „ილბუზი“. მიზანი ახალ ამხანაგობისა, წესდებით არის: 1. გააუმჯობესონ თავიანთი პირადი შრომა და იქიდან მეტი სარგებლობა გამოიტანონ; 2. დაეხმარნენ ერთმანეთს საქმის შოვნაში და ადებაში; 3. აღმოუჩინონ ნივთიერი დახმარება ამხანაგობის დავრდომილ წევრთ და ქვრივ-ობლებს და 4. მისცენ ამხანაგობის წევრთ საშუალება ამხანაგობის ოპერაციით შემოსულის მოგებიდან თავიანთთვისაც ფული შეინახონ. მიზნის მიხედვით ამხანაგობას შეუძლიან: გამართოს საკუთარი სავაჭრო-სამრეწველოები ან იჯარით აიღოს იგინი; ამხანაგობის წევრთა მოქმედების გასაფართოვებლად გამოსძებნოს საშუალება და ბაზრებთან პირდაპირი კავშირი დაიჭიროს; ამისათვის იმ ადგილებში, სადაც საჭიროება მოითხოვს, გამართოს ამხანაგობის საწყობები, მაღაზიები და კანტორები, შეიძინოს ან იჯარით აიღოს უძრავ-მოძრავი ქონება, დააარსოს თავის წევრთათვის ბიურო ან კანტორა სამუშაოს მოსაძებნად და ამ საქმის წარმატებას თვალყური ადევნონ; გამართოს მოხუც და შეუძლო წევრთათვის თავშესაფარი და იაფი სასადილოები; გახსნას წერა-კითხვის სკოლა, ბიბლიოთეკა, მოაწყოს უქმე დღეებში საუბარი წევრთა გონება-ზნეობის განსავითარებლად და სხვა. ახალ ამხანაგობაში ჯერ-ჯერობით 30 კაცია.

◆ პოლიციამ 26 ნოემბერს დააპატიმრა კარაპეტ ნერსესიანცი რომელსაც ჰბრალდება 18 ნოემბერს საბურთალოში ოსმალეთის ქვეშევრდომის [illegible] ნერსესიანის მოკვლა. დაპატიმრებული გამომძიებელს გადაეცა.

◆ ტფ. მცხოვრებების ალექსანდრე ივანოვისთვის მინაცკანოვის აღმართზე 22 ნოემბერს ვიღაც შეიარაღებულ კაცს გაუხდია ჩოხა და ისე გაუშვია.

◆ მიხეილის ქუჩაზე ინჟინერ ლუგოვცკის ბინაზე გაჩენილა ცეცხლი. ცეცხლი შინაურ ღონისძიებით ჩააქრეს. ზარალი 1000 მანეთს უდრის.

◆ 26 ნოემბერს ღამე ნავთლუღში მცხოვრებს ესტატე ჩიხლაძისათვის ქურდებს მოუპარავთ კარგი ჯიშის ქათმები, 37 მანეთისა. დააპატიმრეს სიმონ ლეჟავა და ვლადიმერ გედენიძე.

ქუთაისი

◆ **ქალაქის საბჭო.** 24 ნოემბერს ქალაქის საბჭოს მორიგი კრება არ შესდგა ხმოსანთა კანონიერ რიცხვის გამოუცხადებლობის გამო. მართალი რომ ვსთქვათ, არც გასამტყუნარნი არიან ხმოსნები: განსახილველ კითხვათა შორის ერთს საყურადღებოს ვერ ნახავდით. ქალაქის გამგეობამ დამსწრე ხმოსნებს აუწყა საბაზრო კომისიის მოხსენება ხორცის ნიხრის მომატების შესახებ და იგი მიღებულ იქნა. ხორცის ნიხრს გირვანქაზე მიუმატა 1 კაპეიკი და, ამ ნაირად, პირველი ხარისხი მორეკილ საქონლის ხორცისა გაიყიდება 1 დეკემბრიდან 12 კაპეიკად, ხოლო ადგილობრივისა—10 კაპეიკათ. რაც დრო გადის, ხორცის ფასს ემატება და მცხოვრებთა შეუძლებელი ნაწილი ველარ სწვდება. ამასთან ნიხრი ნიხრად არსებობს და ყასაბთა თავ-გასულობა კიდევ თავისთვის. ჯერ ერთი, ხორცის ხარისხებად ყიდვა შეუძლებელია და ამას გარდა, პირველი ხარისხის ხორცი ყოველთვის ნიხრზე მეტად იყიდება. ეს იციან ქალაქის აგენტებმა, პოლიციამ და ხალხმა, მაგრამ დამშლელი არსად არის.

◆ **სამეურნეო საზოგადოების განყოფილება.** ამ ცოტა ხანში მოსალოდნელია კრება სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისა. ამის მიზეზად ის გამხდარა, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტრო შეჰკითხებია სახელმწიფო მამულების აქაურ გამგეს განყოფილების მოღვაწეობის შესახებ და შემდეგ ამისა საჭიროდ უცვნიათ განყოფილების მოქმედების განახლება.

◆ **ქუთაისის გამოფენა.** ქუთაისის გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტში „კოლხიდის“ ამხანაგობას თავის წარმომადგენლად დაუნიშნავს ბ-ნი იოსებ ქუთათელაძე.

◆ **ავანსები სათ.-აზნაურო გიმნაზიას.** რადგან 18 ნოემბრისთვის დანიშნული საგანგებო კრება თავად-აზნაურობისა არ შესდგა და, მაშასადამე, არც ის საკითხი გადაწყდა, რომ საერთო საჭიროებისათვის ავანსად წაღებული ფული დაიფაროს თავად-აზნაურთა თანხიდან, საადგილ-მამულო ბანკის წრეებში კვლავ აღიძრა საკითხი მიეცეს თუ არა მომავალ წლიდან ქართულ გიმნაზიას ავანსები თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამის გამო თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებ. აღმასრულებელმა თ-მა დ. ნიჟარაძემ აცნობა პეტერბურგში მყოფ თავმჯდომარეს გამგეობისას, რომ თავად-აზნაურობა უეჭველა დაჰფარავს ავანსებსაო.

◆ **შეპყრობა.** გურიაში, სოფ. სამებაში შეუპყრიათ ძველი-სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად ნამყოფი არსენ წითლიძე. წითლიძე 1904 წლის შემდეგ იმალებოდა.

ზეთების სიტყვით, დაადგინა: „ეუწყოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ერობის განყოფილებას, რომ ებრაელების კოლონიების საქმე, რომელზედაც მთავრობამ ბევრი ფული დახარჯა ცუდ მდგომარეობაშიაო“. მერე, იცით, მკითხველო, ვისზე ემყარება საგუბერნიო მთავრობა? გრიგოროსულის მოხსენებაზე! საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!

ტყუილად კი არ ამბობს გიორგი ერისთავის კომედიაში ერთი მოსამართლე: „საქმეს გინდა აბრუნდის ვუზამ, გინდა დაბრუნდისო“. აბა ამაზე „აბრუნდი“ რაღა იქნება!

⁂

ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლა ნება დართულია, მაგრამ, სწორე მოგახსენოთ, არ ვიცოდი თუ რედაქტორ და თანამშრომლების ცემაც ნებადართული იყო. ამ საქმეში თვალები აგვიხილეს იმავე „ჭეშმარიტმა რუსებმა“. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ოდესაში ამათი გაზეთის რედაქტორმა გლობაჩევმა სცემა გაზეთ „ოდესკ. ნოვ.“ რედაქტორს გერცო-ვინოგრადსკის და თან მისწერა, ამაზე კრინტიც არ დაეძრა, თორემ უარეს დღეს დაგაყრიო. ახირებული კაცი კი ყოფილა ეს გლობაჩევი! დალოცვილმა ცემა არ აკმარა და ლაპარაკიც აუკრძალა. იქნებ იფიქროთ, რომ საქმე მიყრუებულ ალაგას სცემეს გერცო-ვინოგრადსკის? სრულებითაც არა. „ჭეშმარიტ რუსებს“ დასამალი არაფერი აქვთ. აიღეს და პირდაპირ თეატრში სცემეს, ასე გასინჯეთ, პოლიცმეისტერის თანაშემწესაც არ შეუშინდნენ და ისე იქცეოდნენ, თითქოს არაფერიაო. არ გეგონოთ გლობაჩევს, [illegible] ეს ჩაედინოს. გერცო-ვინოგრადსკიზე ადრე გაზეთ „შესარაბ. ჟიზნის“ რედაქტორსა სცემა. ეჭვი არ არის, ეს მოკრივე რედაქტორი არც ამაზე გაჩერდება და კვლავაც ასევე განარძობს თავის ნაყოფიერ „მოღვაწეობას“ რუსეთის საკეთილდღეოდ.

გლობაჩევი ოდესაში დიდად ცნობილი კაცია. ასე გასინჯეთ, პოლიციელები „ჩესტ“ აძლევენ, ხოლო პოლიციის უფროსი მოხელენი მოწიწებით ხელს ართმევენ. ამიტომ არც ის უნდა გაიკვირვოთ, რომ ამავე გლობაჩევმა სასამართლოში შჩერბინს, რომელიც არა ნაკლებ ცნობილს კრუშევანს უჩიოდა, მოსამართლეებისა და პროკურორის თვალწინა რეზინით ტყავი გააძრო.

ასეთები არიან „ჭეშმარიტ რუსების“ წინამძღოლნი, რაღანი იქნებიან სხვები?

⁂

მაგრამ სანატრელი წინამძღოლები მაინცა და მაინც არც თუ სხვებსა ჰყოლიათ. აი, თუნდა ებრაელების წინამძღოლები, რაბბინები აიღეთ.

ამას წინად ოდესაში ამ რაბბინების კრება მოხდა. მერე არ იკითხავთ კრების მიზეზს? თურმე ნუ იტყვით, ამ რაბბინებს ძალზე სწყენიათ, რომ ებრაელებზე დიდი გავლენა აქვთ მემარცხენეებს და კონსერვატიულ ელემენტებს კი ძალიან ნაკლები. რაბბინების კრების აზრიც ის იყო, რომ შეკავშირდნენ და ამ შეკავშირებით მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ მემარცხენეთა გავლენას. სწორედ ესენი აკლდნენ მემარცხენეებს, კერძოდ, და ებრაელებს საზოგადოდ! შავრაზმელების ფერხულში ესენიც ჩაერევიან.

ამას გარდა რაბბინებს თავიანთ ჯიბეზედაც უზრუნიათ. კრებას შეუმუშავებია საკითხი რაბბინების ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამ რიგად, მათ ერისთვისაც იზრუნეს და ქისისთვისაც!..

მ. ხ—ლი.

წერილები

ცხინვალი. რომ იტყვიან უპატრონო ეკკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო, სწორედ ცხინვალის საბოქაულოზეა გამოჭრილი. აქაოდა რეაქციამ გამარჯვა, ყველამ ფეხი წამოჰყო. წამოიშალნენ ბნელეთის ვაჟბატონები, ესე იგი ისინი, რომელნიც მოძრაობის დროს მგლები იყვნენ და ცხვრის ტყავში შემოსნენ, აგრეთვე ისინი, რომელნიც მაშინ სოროებში იყვნენ შემძვრალნი ანუ შიშისაგან გადახვეწილნი. დღეს ეს ვაჟბატონები დოინჯ-შემოყრილნი, ხსენებულ მხარეს მოედვნენ და რას არ გაიგონებთ მათ ბილწ ბაგეთაგან! ხალხი უვიცია, სიბნელეში სცურავს და მათაც გაუდით. დღესაც ზოგიერთი ეს ვაჟბატონი ისე აჩვენებს ხალხს თავს, ვითომ პირველი მხსნელი და მოყვარე ას იყოს, ნამდვილად კი, რომ ძალა შესწევდეს, ყველას მიწასთან გასწორებდა და ცეცხლსა და მახვილს მისცემდა.

წელში გამაგრდნენ ვაჭარ-ჩარჩებიც. აქეთ ასარებელი საზამთრო ხილის მოსავალი იცის, რომელიც იგზავნება რუსეთის ქალაქებში და საზღვარ-გარედაც კი, სადაც დიდი ფასი აქვს. ამისთანა ხილს ეს ვაჟბატონები ნაგვის ფასად ყიდულობენ. ვინ ინაღვლის, რომ ყიდვაში მაინც ცოტა ნამუსი იქონიონ!

ზაფხულის დადგომისთანავე ეს ვითომდა ვაჭრები ჩაიჯრიან ორიოდე გროშს ჯიბეში და შემოესევიან ასობით ცხინვალის საბოქაულოს. ერთი ბაღი არ გადარჩებათ უნახავი. სოფლებში არეულ შემწეობით გაიჩენენ აგენტებად ადგილობრივ მცხოვრებლებს, იმათ, რასაკვირველია, რომელნიც სინდისს გარეცხილნი არიან. ამ აგენტების წყალობით ყველა სოფელში ჯერ ხილის ფასს ათოლებენ. რომ ღირდეს ხილი ფუთი ორი-სამი მანეთი ადგილობრივ, ისინი აძლევენ ორ-სამ აბაზს. ხილის პატრონიც იძულებული ხდება თავისი ნათესლარი ამ ფასად დაუთმოს, თორემ ინანებს, რადგან არეული აგენტები კარგ დღეს არ დააყრიან და ბოლოს იქამდე მიიყვანენ, რომ უფრო ნაკლებ ფასად გააყიდვინებენ. სხვა ჩარჩი იმ სოფელში ფეხს არ შესდგამს და თუ შესდგა, არ იყიდის, რადგან, როგორც ნათქვამია, ერთმანეთის ძვალს არა სტეხენ. ასე და ამ გვარად, მიჰყიდის გლეხი ჩარჩს ხილს—ვაია, არ მიჰყიდის და—ვაგლახია, რადგან ხილი გაუყიდავი ლპება და ფუჭდება. ეს ჩარჩები ბევრად თითო-ორთოდა მანეთს არაგებენ და დასახლოვებით ას-ორას თუმნის ხილსა თუ თუმნამდლისაც კი არ აბანდებენ; არცა აქვთ მეტი, ისიც ნასესხები ფულია. მაშინვე წერილობით, დეპეშებით ან პირადად აცნობებენ მსხვილ ვაჭრებს ან მათ კომისიონერებს—ამდენი და ამდენი ვაგონი ხილი გვაქვს ნაყიდი და რას მოგვცემთ ფუთშიო. რასაკვირველია, არც ერთი არ იზარალებს მსხვილ ვაჭრებისაგან; ეს ჩარჩები ბედ კარგა დიდ ფულს იღებენ და უპირდებიან ნაღდ დაბეჭებულ ხილს. თავიანთ აგენტებს ზარით გასცემენ ბრძანებას, რომ [illegible] ხილის პატრონიც ფუთობით არის გარიგებული, შეუდგეს ხილის კრეფასო. თითონ-კი ნარდად აღებულ ბაღებს ჰკრეფენ. პირველად ამ ბაღებს ემუქრებიან. საჩქაროდ ჰგზავნიან კარგსაც და ნარჩევსაც. ფუთქვეშ გამოდგენილი-კი მთელი კვირაობით უცდიან ჩარჩებს, რის გამო სხვა საქმესაც სცდებიან და ხილიც ფუჭდება. ხშირად თვალები ებრიცებათ ყარაულობით თავიანთ ცოლ-შვილითურთ. როცა ხსენებული ჩარჩები ასაწონად და გადასარჩევად გაჩნდებიან ხილის პატრონთან, მაშინვე არეული აგენტიც იქ ერჩება: სადილ-ვახშამი სათრობელითურთ სულ პატრონის ხარჯზეა. ხილის პატრონმა კარგად იცის, რაშიც არის საქმე და ვალით აღებულ ფულით უმასპინძლდება, იმ იმედით, რომ დაკრეფილ ხილს არ დაუწუნებენ ძალად, გაუფრთხილებლად, ბევრს არ დაიწუნებენ და სვინიდისის ქვეშ, გარიგებისამებრ, აარჩევენ, მასთან წონაშიაც არ მოატყუებენ. მაგრამ ეს იმედი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ცრუვდება. ვაჭარი და მისი ამხანაგი განგებ ხილს იწუნებენ, წონაშიაც ატყუებენ და ხშირად რაც ერგება, იმასაც ან არ აძლევენ ან თუ აძლევენ—წვრილ-წვრილად, თვეობით. ერთის სიტყვით, გლეხს სისხლს უშრობენ და ამ გაი-ვაგლახებაში სხვა ნამუშევარსაც [illegible] უხდიან მათის უკან დევნისა და ხვეწნის გამო.

სწორედ რომ უბედური ხალხი ვართ ქართველები. ამისთანა უბრალო, პრაქტიკული საქმეა სოფლად და კაცი არ არის, რომ მეთაურობა გასწიოს. რა ისეთი ძნელი საქმეა, მაგალითად, გლეხების შეერთება ხილის გასაღების საქმეში, მაგრამ აქაც უნარი ვერ გამოგვიჩენია. მერწმუნეთ, არც ისეთი უგუნურია ჩვენი გლეხი, რომ ვერ შეიგნოს შეამხანაგეს ძალა, საჭიროა მხოლოდ ცოტად მხნე და გულწრფელად ხალხის სიკეთის მოსურნე ადამიანი. მარტო ამ ხილით ხალხი ცოტად თუ ბევრად ფეხზე წამოდგებოდა, რომ კოოპერაციის მსგავსი რამ დაარსდეს ჩვენს კუთხეში. სხვას თავი დავანებოთ, ცხინვალში რომ ერთი გამსესხებელი კასსა დაარსდეს, ისიც დიდ სიკეთეს მოუტანდა მთელ საბოქაულოს. მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ საქმის კაცები არა გვყავან, ლაპარაკით მთელ ქვეყანას ვაშენებთ, საქმით-კი სულ უბრალო რამეც ვერ მოგვიგვარებია.

სხვა რა მოგახსენოთ ჩვენ კუთხეზე? სწავლა-განათლებაზე? რაღა თქმა უნდა, ყველას ეცოდინება, რომ ამ მხრივ ჩვენი კუთხე სხვებზე მაღლა არ იდგება, ან-კი საიდან, როდესაც არც ნამდვილი სკოლა გვაქვს და არც ნამდვილი მასწავლებლები გვყავან. მაგრამ ამაზე სხვა დროს...

მოგეხსენებათ, ცხინვალში ბ-ნთ მაჟამშვილის, ჯავახიშვილის, ვ. იარალოვის და სხვათა მეცადინეობით თეატრი შენდება. კარგი საქმეა, ძალიან კარგი საქმე და ყველა მოვალეა, ხელი შეუწყოს. სამწუხაროდ, კაპიკობით მოგროვილი ფული არ ეყოფა თეატრის დამთავრებას და ამის გამო შეიძლება საქმე შეფერხდეს. ურიგო არ იქნება, დრამატიულმა საზოგადოებამ ჩვენისთანა მიყრუებულ კუთხეებსაც მიაქციოს ყურადღება. კარგად ვიცით, რომ ეს საზოგადოება ღარიბია, არაფერი თანხები არ გააჩნია, მაგრამ დრამატიულ საზოგადოებას უნდა ახსოვდეს, რომ მისს საქმეს მარტო ტფილისის თეატრის ანტრეპრიზა არ შეადგენს. მერწმუნეთ, ქართული თეატრი ტფილისში უდრამატიულ საზოგადოებოდაც არ დაიღუპება, ჩვენთვის-კი სულ მცირეოდენი დახმარებაც დიდი რამ იქნება.

ბიძია ესტატე.

სპარსეთის ამბები

რევოლუცია პროვინციაში.

„ტაიმს“-ს ატყობინებენ თეირნიდან 24 ნოემბრის თარიღით, რომ მეშხედში სერიოზული მდგომარეობაა. მუშტეიდების მეთაური, როგორც ისმის, რევოლუციონერებს მიემხრო. რევოლუციონერებმა გააძევეს მეციხოვნე ჯარი და ხელში ჩაიგდეს მთავრობის რამდენიმე დაწესებულება. იუწყებიან, რომ არეულობა დაიწყო აგრეთვე გამადანსა, მეაიერსა, ქირმან-შაჰსა და თალიშიო.

კონსტიტუციონალისტების ეპისტოლე.

იმავ გაზეთს ატყობინებენ თეირანიდან, რომ სპარსელმა კონსტიტუციონალისტებმა 24 ნოემბერს უცხოეთის წარმომადგენლებს ჩააბარეს 644 კაცის მიერ ხელმოწერილი ეპისტოლე, რომელშიაც კონსტიტუციონალისტები მადლობას უცხადებენ უცხო სახელმწიფოებს სპარსეთის თავისუფლებისადმი თანაგრძნობისთვის და შაჰსა და მის კარისკაცებს ახვევენ თავზე მთელს ბრალს იმ სერიოზულ შედეგისას, რომელიც შეიძლება მოჰყვეს კონსტიტუციის გაუქმებას.

ახალი სახელმწიფო საბჭო

შაჰის მიერ ახლად დაწესებული სახელმწიფო საბჭო შესდგება 50 წევრისაგან, რომლებსაც ყველას შაჰი ნიშნავს. საბჭო ეხლანდელ თავის შედგენილობით იმოქმედებს ორს წელიწადს. მას მინიჭებული აქვს როგორც საკანონმდებლო ძალა, ისე კანტროლის უფლება. სესხი და კონცესიები უნდა დაამტკიცოს საბჭომ. ყველა მისი გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს შაჰმა.

რუსეთის საელჩოს ცეცხლი წაჰკიდებია.

„ვ. ბაქუ“-ს ატყობინებენ: თეირანში რუსეთის საელჩოს ცეცხლი წაეკიდა. დაიწვა მოსამსახურეთა ქონებაო.

გარტვიგის პოლიტიკა.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ თეირანში ელჩად ნამყოფი გარტვიგი თავის საკუთარ პოლიტიკას აწარმოებდა, პეტერბურგიდან ინსტრუქცია არა ჰქონიო. ამან გამოიწვია უთანხმოება ინგლისის ელჩთან და ამ გარემოებით ისარგებლეს შაჰმა და რეაქციონერებმაო.

საქმეთა ვითარება სპარსეთში.

„რეჩ“-ის თეირანელი კორესპონდენტი ასე ასურათებს სპარსეთის საქმეთა ეხლანდელ ვითარებას:

„როგორც უკვე იცით, შაჰის ჯარის გალაშქრება თავრიზის დასამორჩილებლად სამწუხაროდ გათავდა. რუსის კაპიტანი უშაკოვი, რომელიც ექსპედიციის სათავეში იდგა, იძულებული იყო, თავის უფროსების განკარგულებისამებრ, უკან დაბრუნებულიყო შუა გზიდან. ხოლო მისი რაზმიდან გაიქცა და აქეთ-იქით გაიფანტა თითქმის ყაზახების ნახევარი. ვერ უშველა პოლკოვნიკ ლიახოვის მიერ დაწესებულმა დისციპლინამაც. ვინც რაზმში დარჩნენ სპარსელ პოლკოვნიკ ალი-ხანის უფროსობით, იმათგანაც ბევრი გადავიდა რევოლუციონერების მხარეს და თავიანთი მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნები, ტყვიის მტყორცნელები და ფურგონები სამხედრო სურსათით რევოლუციონერებს გადასცეს. თითონ ალი-ხანი თეირანში დაბრუნდა. ამ გალაშქრების შედეგმა დიდი გავლენა იქონია თეირანელებზე, რომლებიც მანამდე ხმა-გაკმენდილები იყვნენ. ლიახოვის მმართველობა და ბაღეშაჰის (შაჰის რეზიდენცია) სიახლოვე პირში ბურთსა სჩრიდა თეირანელებს. მაგრამ ეხლა ესენიც აღელდნენ, ამათაც ხმა ამოიღეს. შაჰის ბრძანებისამებრ მოხუცებულ მუშტეიდის ჰაჯი-მირზა-ჰუსეინის მოწამვლამ ხომ სულ მოთმინებიდან გამოიყვანა ყოვლად მომთმენი თეირანელები. ახალ მოძრაობას მეთაურად გაუხდა მუშტეიდი სეიდ-ესდი. იმის სახლთან შეიკრიბა ხალხი, რომელსაც მუშტეიდი ესაუბრებოდა კონსტიტუციაზე; მაშინ ყაზახთა ბრიგადის უფროსმა ბრძანება გასცა, მუშტეიდი დაატუსაღეთო. ყაზახებმა ურუსის ოფიცრებით წრე შემოავლეს სეიდ-ესდის სახლს და დაანგრიეს ის კარავი, რომელშიაც იკრიბებოდა ხალხი მუშტეიდის ქადაგების მოსასმენად. დატრიალდა ყაზახები მათრახი, ხალხი კი სულ მოდიოდა და მოდიოდა. უნდა იცოდეთ, რომ მუსულმანები დიდ პატივსა სცემენ მუშტეიდებს; ამიტომ ხალ[illegible] აღელდა. როგო[illegible] წინანდებურად, როდი[illegible] თავისი ძალა. რ[illegible] საჩქაროდ ბძანება გამოეგზავნა, ყაზახებმა თავი გაანებონ ხალხსაო. მუშტეიდის სახლთან მე მივედი იმის შემდეგ, როცა ყაზახებს უკვე ალყა მოეხსნათ მისთვის. ვიწრო ქუჩა, სადაც მუშტეიდი ცხოვრობს, ხალხით იყო გაჭედილი და ძლივს ვაივაგლახით შევედი ეზოში. ეს ეზო, სახლის ოთახები და ბალკონები მოფენილი იყო ხალიჩებით და რამდენიმე ათასი კაცი ძირს, დედამიწაზე იჯდა. სრული სიჩუმე სუფევდა. ერთ-ერთ კედელს ახლო კიბის თავში იჯდა სეიდ-ესდი და ქადაგებდა: იგი ლაპარაკობდა კონსტიტუციის საჭიროებაზე, ხალხის ტანჯვაზე. დრო-გამოშვებით ხალხი სიტყვას აწყვეტინებდა ორატორს ძახილით: „გაუმარჯოს კონსტიტუციას“. ხან და ხან მთელი ხალხი მუშტეიდის ნიშნისამებრ ლოცვას იწყებდა ხოლმე. თითონ სეიდ-ეზდის შესახებ აქ სხვა და სხვა ხმები დადის. ზოგიერთნი მას სთვლიან ხალხის გულწრფელ მეგობრად, ველარ აიტანა ის საშინელება, რომელიც ამ ჟამად ხდება სპარსეთში, და გმირულად შეუდგა აგიტაციასო. მეორეები ამბობენ, რომ სეიდ-ესდის ჰკუაში არ მოსდის უზომო გავლენა მუშტეიდის შეიხფუზულასი, და მის დასამობად, იგი ცდილობს ჯერ სახელი მოიპოვოს ხალხში, რომ თავისი თავი უფრო ძვირად მიჰყიდოს შაჰსაო. სეიდ-ესდი შუა ხნის კაცია, მაღალი ტანისა, შეღებილ წვერით. ლაპარაკი ოსმალურად დავიწყეთ, უთარჯიმნოდ. მე ზოგიერთი რამ ვკითხე.

—მარტო ეხლა, ასე გვიან რად მივიღე მონაწილეობა მოძრაობაში? მე სულ ველოდებოდი, რომ შაჰი ყველაფერს საუკეთესოდ მოაწყობდა; მე ველოდი და ვიმედოვნებდი. და აი მხოლოდ ეხლა შევუდეგ მართალ საქმის მსახურებას. რომ კონსტიტუცია არ ეწინააღმდეგება მუსულმანთა სარწმუნოებას—ეს უკვე გამოარკვიეს ნეჯეფის მუშტეიდებმა. ყველა წინასწარმეტყველები თავიანთ წმიდა წიგნებში ცდილობდნენ სიმართლის დამყარებას კვეყნიერობაზე, ხოლო კონსტიტუცია არის ერთ-ერთი საშუალება სამართლიან ცხოვრებისა. რა ბედი მელის?—არ ვიცი. იქნება საპყრობილე და სახრჩობელა მელოდეს, მაგრამ სიკვდილისა როდი მეშინიან, მოხუცებული ვარ და მართალ საქმისთვის სიკვდილი როდი მაშინებს“.

დასასრულ, კორესპონდენტი აღწერს გერმანიის დიპლომატიის მოქმედებას სპარსეთში:

გერმანელები აქ უმთავრესად იმასა ცდილობენ, რომ რუსეთის და ინგლისის მნიშვნელობა დაამცირონ, და ამისათვის ისინი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან. რუსეთის პოლიტიკის ორპირობა მშვენივრად გამოიყენეს გერმანელებმა. მეჯლისის განადგურების შემდეგ, გერმანიის დიპლომატიამ წამოისხა ლიბერალური წამოსასხამი, და ამტკიცებდა, რომ სპარსეთის კონსტიტუციონურ მოძრაობას მარტოდ-მარტო გერმანია დაუჭერს მხარს, რადგან მას მხოლოდ კულტურული ინტერესები აქვს სპარსეთშიო. რუსეთი და ინგლისი-კი სპარსეთის გაყოფას აპირობენო. მეორეს მხრივ, მცოდნე ხალხი ირწმუნება, რომ გერმანიის ელჩი, რომელიც ძლიერ მჭიდროდაა დაახლოვებული ოსმალეთის დიპლომატიასთან, ადერბეიჯანის დაჭერას ურჩევდა ოსმალეთის დიპლომატიას: ამით შეგიძლიანთ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც ბალკანეთში მოუვიდა ოსმალეთსაო. თეირანში ირწმუნებიან აგრეთვე, რომ თავრიზში სათარ-ხანთან იმყოფებიან გერმანელი ოფიცრები, რომელნიც არა უკანასკნელ როლს თამაშობენ რევოლუციონერ მოძრაობის მოწყობაშიო.

იმავე დროს გერმანელი დიპლომატები შაჰსაც ემეგობრებიან და

დახმარებას ჰპირდებიან. ამ დღეებში აქ ხმა გავარდა, რომ გერმანიის ელჩმა ბალეშაჰშ აუდიენციის დროს პირდაპირ წინადადება მისცა შაჰს, გაჭირების დროს დაგეხმარებით, თუ გერმანიის ბანკს მისცემთ ყველა იმ პრივილეგიასა და შეღავათს, რომლითაც სარგებლობს ინგლის-რუსეთის ბანკი, და თუ გერმანიის მრეწველებს კარგს ხეირიან კონცესიებს მისცემთო.

ამნაირად გერმანიის დიპლომატია არც ერთს ხერხს არ ერიდება და რუსეთის დიპლომატიის ყოველ შეცდომას მშვენიერად იყენებს თავის სასარგებლოდ.

შაჰის გაჭირვება.

„რუსკ. სლოვო“-ს თეირანელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შაჰი დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი, მაგრამ მაინც არ ტყდება და კონსტიტუციის აღდგენას არა სთანხმდებაო. კორესპონდენტი სწერს: ხორასანის პროვინციაში, რომელიც დღემდე დინჯად იყო, ხალხი აღელდა სხვა პროვინციებშიაც ღელავს ხალხი. ბევრგან მთავრობის ძალა ჩაიგდო ხელში ხალხმა და გუბერნატორები გარეკა. ჯარი ბევრგან გადავიდა კონსტიტუციონალისტების მხარეს, არსენალები ჩაბარა მათ და ხალხთან ერთად მოითხოვა კონსტიტუციის აღდგენა. შაჰი რომელსაც არც ჯარი ჰყავს და არც ფული აქვს, უკიდურეს გაჭირვებაშია ჩავარდნილი, მაგრამ იგი მაინც რიღაც აუგებარის სიკერპით არა სთანხმდება კონსტიტუციის აღდგენას.

ოსმალეთი

მოკლული იზმაილ-მაღირ-ფაშა

19 ნოემბერს მოკლული იზმაილ-მაღირ-ფაშა იყო სულთნის ადიუტანტი და ჯაშუში. მას თურმე სულთანთან მიჰქონდა ცნობები ჯარისა და ფლოტის შესახებ. სულთნის საიდუმლო კორესპონდენციის გაგზავნა და შავ რაზმების მოსაწყობად ფულის გადაცემა მაღირ-ფაშას ხელში ყოფილა. იგი ამას წინად წავიდა სალონიკში და იქ მოაწყო ჯაშუშობის საქმე. კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ იგი დაუმორჩილეს სამხედრო სამინისტროს. 19 ნოემბერს ერთმა ჯარისკაცმა ყალბი წერილი მიუტანა თურმე მაღირ-ფაშას. წერილში ეწერა, მაღირ-ფაშა სამხედრო სამინისტროში უნდა გამოცხადდესო. იზმაილ-ფაშა წავიდა და გზაში ერთ-ერთ მიყრუებულ ქუჩაში ვიღაცა აფიცერმა შიგ გულში მოახვედრა ტყვია გენერალს, ხოლო მისი მოსამსახურე ხელსა და ფეხში დასჭრა.

უთანხმოება სულთანსა და ახალგაზდა ოსმალთა შორის

ახალ სამინისტროს შედგენის თაობაზე უთანხმოება მოუვიდათ სულთანსა და ახალგაზდა ოსმალებს. ახალგაზდა ოსმალები არ დასთანხმდნენ მინისტრების სიას, რომელიც შეადგინა სულთანმა და საკუთარი სია შეადგინეს. ჯერ არ შეთანხმებულან.

ხალხის აღელება ტრაპეზონში.

ტრაპეზონში ხალხი აღელდა არჩეულ რეაქციონერ-დეპუტატების წინააღმდეგ და მათ გადადგომას თხოულობს. გაავრცელეს პროკლამაციები მათ წინააღმდეგ. რეაქციონერი-დეპუტატები თავიანთ მხრივ იმუქრებიან შეიარაღებულ გლეხებს შემოვიყვანთ ქალაქშიო.

უწესოება დამასკში.

ქალ. დამასკში უწესოება დაიწყო. მაღაზიები დაიკეტა. რეაქციონერებმა ხელში ჩაიგდეს ძალა და შეაჩერეს საპარლამენტო არჩევნები. (კ.)

ენვერ-ბეი.

ენვერ-ბეი და სულთნის მემკვიდრე რეშადი დაესწრნენ თეატრში „თავისუფლების გღვიძების“ წარმოდგენას. ხალხმა აღტაცებული ოვაცია გაუმართა ენვერ-ბეის.

რუსეთი

◆ **შანტაჟისტი ბერები.** ოდესაში ამ დღეებში შეიპყრეს 7 ბერი, რომელნიც შემოწირულებას აგროვებდნენ. შარშან ოდესსაში მისულა 7 კაცი, ბერულად ჩაცმული. ისინი თავიანთ თავს ათონის მონასტრის მორჩილებად უწოდებდნენ და რუსეთის სხვა და სხვა ადგილას მოწოდებებს ჰგზავნიდნენ და შემოწირულებას თხოულობდნენ ათონის მონასტრებისთვის. შემოწირულება აუარებელი მოსდიოდათ, როგორც ფულად, ისე ნივთებად. ერთმა ამ „ბერთაგანმა“, რომელსაც ბელოოზერის მონასტრის ბერად მოჰქონდა თავი, ოდესსაში უკვე სახლი შეიძინა ზემოხსენებულ მონასტრის წინამძღვრის სახელზე. (რა თქმა უნდა, წინამძღვრის გვარი გამოგონილი აღმოჩნდა). ეს „ბერი“ აღმოჩნდა გლეხი პეტრე ბორზოვი. რადგან სინოდის განკარგულებით, ათონის ბერებს ნებადაურთველად უფლება არა აქვთ რუსეთში შემოწირულებები მოჰკრიფონ, ამიტომ პოლიციას ყურადღება მიუქცევია მათთვის და გაუჩხრეკია. პოლიციამ „შანტაჟისტ ბერებს“ აუარებელი ნივთები უპოვნა, მშვენიერად მოწყობილი კანტორა, სია იმ მდიდარ ქალებისა, რომელნიც მუდმივ სწირავენ მონასტრებს ფულს, პორნოგრაფიული ლიტერატურა და სხვა. „ბერები“ რაღა თქმა უნდა, მშვენიერად სცხოვრობდნენ. მაგ., დობროვოლსკის ორი მოსამსახურე-ქალი ჰყავდა და ერთი მზარეული. ეს „ბერები“ თეატრში დაიარებოდნენ, განსაკუთრებით ოპერებში. ქუჩებსა და სახლებში ანაფორებით დადიოდნენ, ისე კი ტანისამოსს იცვლიდნენ. შეპყრობილნი უკვე გამომძიებლისთვის გადაუციათ. გამოძიებას გამოურკვევია, რომ ეს ვაჟბატონები დიდი ხანია ამ რიგად მუშაობენ.

◆ **მოსკოვის რევიზიის შესახებ.** მოსკოვის რევიზიის შედეგები ჩვენ გაზეთში უკვე იყო მოყვანილი. გაზეთ „რეჩის“ სიტყვით, ამისთანა ამბები არ ახალი, ძველი ყოფილა. ჯერ კიდევ 25 წლის წინად შეუნიშნიათ ყველაფერი ეს და მაშინდელ იუსტიციის მინისტრს კიდეც სდომებია მაძებარ პოლიციის სამართალში მიცემა, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრს ლ. ტოლსტოის უხერხულად უცვნია ეს და ზოგიერთი აგენტი ადმინისტრატიულის წესით დაუსჯიათ. 25 წლის წინად მომხდარმა რევიზიამ გამოარკვია, რომ მაძებარი პოლიცია წინადვე შემუშავებულ გეგმით მუშაობდა. ეს გეგმა კი შემდეგი იყო: თუ ვინმე დიდ პირს გასცარცვავდა, მოპარული უნდა დაჰბრუნებოდა ამ პირს, სხვა შემთხვევაში კი მაძებარ პოლიციის აგენტები და ქურდები ქრისტიანულად იყოფდნენ მოპარულს. ჯიბგირების შესახებ კი მაძებარ პოლიციას ნიხრი ჰქონია დაწესებული. ჯიბგირის შეშვება ეკლესიაში დიდ დღესასწაულში ღირდა 25 მ., პროცესიების დროს ქუჩებში და მოედნებზე—15 მანეთად, დუქნებში, თეატრებში—10 მან. ასე რომ აგენტები თვალყურს იმას კი არ ადევნებდნენ, ჯიბგირებს არავინ გაეკარცვათ, არამედ იმას, რომ უზეგროდ არავის „ემუშავნა“.

◆ **ყოფილ დეპუტატის განთავისუფლება.** ამას წინად გასცარცვეს ნოტარიუსი ლიუბიმოვი. ლიუბიმოვის გაცარცვას, სხვათა შორის, აბრალებდნენ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ დეპუტატს პოვილის. პოვილისი მართალი გამომდგარა და უკვე გაუნთავისუფლებიათ.

◆ **სასამართლოში.** ელისავეტოგრადის სამხედრო სას. მართლომ დაამთავრა საქმე კლეპოვსკების მოკვლის შესახებ. სამართალში მიცემული იყო 29 კაცი. ამათგან სასამართლომ 12 კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, 17 გაამართლა. ვარშავის სამხედრო სასამართლომ გაარჩია სად. რადომის საქონლის კასსის გატაცების და დარაჯის მოკვლის საქმე. ყველა ბრალდებულს, რიცხვით 9 კაცს, სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

◆ **სკარიატინის და გილლერსონის საქმე.** ნაფიცი ვექილები სკარიატინი და გილლერსონი ბელოსტოკის აწიოკების პროცესში იღებდნენ მონაწილეობას. ბრალდებულმა ეს ვექილები სამართალში მისცა—თავიანთ სიტყვებში მთავრობის ორგანოებს შეურაცხყოფა მიაყენესო. კარიატინის და გილლერსონის დამცველებად გამოვლენ ყველა სასამართლო ოლქის ვექილების ორ-ორი წარმომადგენელი.

◆ **ტაშკენტის რევიზია.** გაზეთების სიტყვით, გრაფი პალენი, რომელიც თურქესტანში იყო სარევიზიოდ, სისხლის სამართალში შემდეგ პირებს აძლევს: ტაშკენტის მხრის უფროსის კანცელარიის მართველს სტრიჟალოვსკის, ამის ძმას, კრასნოვოდსკის მაზრის უფროსს, ბოროვს, ბუთათელაძეს, ხაცევიჩს, პარისტავს, ეზერკის, კოლჩევსკის, ტინაევს, მაევსკის და სხვებს. ზემოდ ჩამოთვლილ პირებს დიდი ადგილები ეჭირათ.

◆ **კიევის უნივერსიტეტის მოვალეები.** კიევის უნივერსიტეტთან 1881 წლიდან სიმპატიური დაწესებულება არსებობს. ამ დაწესებულების მიზანია გაჭირვებულ სტუდენტებს ფულით დაეხმაროს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ შემდეგში უნდა უკანვე დაუბრუნონ ეს ფული. გაზეთების სიტყვით, ყოფილი სტუდენტები ძალიან ნაკლებად უბრუნებენ ფულს ამ დაწესებულებას. ყოფილ სტუდენტებს დამხმარე საზოგადოებისა ჰმართებიათ 80,000 მანეთი. მოვალეთა რიცხვი 1789 კაცს უდრის, ზოგიერთ მშვენიერი ადგილი უჭირავს, მაგრამ მაინც ფულს არ იხდის. საზოგადოებას, რომ თხოვნით ვერაფერი გაუწყვია, გაზეთებში გამოუქვეყნებია ამათი გვარები.

◆ **ახალი სესხი.** მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ წრეულს 450 მილიონი მანეთი აელო სესხად. ამაზე მოლაპარაკებაც კი ჰქონდა გამართული უცხოელ კაპიტალისტებთან, რომელთაც სათათბიროს დასტური მოსთხოვეს. ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიას მოუწონებია მთავრობის აზრი. ამის შემდეგ საქმე სახელმწიფო სათათბიროზეა დამოკიდებული.

◆ **ბროშიურების აღკრძალვა.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა საცენზურო კომიტეტის დადგენილება, რომ აიკრძალოს შემდეგი ბროშიურები: 1. „ბლოკი და შეთანხმება“, 2. „რაზე უნდა იფიქროს თვითეულმა ამომრჩეველმა“ და 3. „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის კრების ოქმები“.

◆ **„ნოვოე ვრემია“ და შავრაზმელები.** შავრაზმელების მოქმედება იქამდის მივიდა, რომ „ნოვოე ვრემია“-მაც კი მიაქცია მათ ყურადღება. „ნოვოე ვრემია“ თავის მეთაურში აცხადებს, „დროა გაიფანტოს შავრაზმელების არრდილი და ცოტად მაინც ბოლო მოეღოს მათ თავგასულობასა“-ო.

უცხოეთი

სამხედრო საწყობების აფეთქება ინდოეთში

ინდოეთის უმთავრესს ქალ. კალკუტაში ამ დღეებში ააფეთქეს სამხედრო საწყობები. აფეთქების დროს მოკლულ იქმნა 28 ჯარის კაცი,—ყველა ადგილობრივი მცხოვრებნი.

სლოვენთა მოთხოვნა.

ქალ. ლიუბლიანში (ავსტრიაში) სლოვენთა ლიბერალურ პარტიის კრებამ, რომელსაც დაესწრო 1,200 კაცი, დაადგინა, რომ ავსტრია არ უნდა ეომოს სერბიას, პარიქით ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთების გამო, ტერიტორიით უნდა დააკმაყოფილოს სერბიაო. ბოსნია და ჰერცოგოვინა უნდა შეუერთდეს ხორვატიას, რომელსაც უნდა მიემატოს აგრეთვე სლოვენთა პროვინციაცაო.

სამხრეთ-სლოვენთა კლუბის დადგენილება.

სამხრეთ-სლავიანთა საპარლამენტო კლუბმა დაადგინა, რომ ბოსნიისთვის სახელმწიფო-უფლებრივი წყობილება უნდა დააწესოს ხორვატიის, დალმაციის, სლოვენიის, ბოსნიისა და ჰერცოგოვინას საკანონმდებლო კრებებმა ერთად და თანასწორად უნგრეთისა და ავსტრიის პარლამენტებთან; ამასთანავე ეს საკანონმდებლო კრებები უნდა არჩეული იყოს საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზედ. (ბ. ს.)

ჩინეთი

ახალი რეგენტი რეაქციონერებმა ჩაიგდეს ხელში. რეაქციონერები სარგებლობენ ესლანდელ წამით, არაფერსა არა ზოგვენ განმათავისუფლებელ მოძრაობის დასათრგუნად და ლიბერალ მოღვაწეების დასადევნად. მართლდება ხმა, რომ იმპერატორი და გენერალი იუანშიკაი ძალით მოჰკლეს რეაქციონერებმაო. იუანშიკაი ცნობილი იყო, როგორც ლიბერალი მოღვაწე და რეფორმების მომხრე. ამბობენ, რომ ქვრივი დედოფალიც რეაქციონერებმა მოჰკლესო.

ჩინელებმა ბოიკოტი გამოუცხადეს იაპონურ საქონელს. თუმცა ზოგიერთ პროვინციის მთავარ-მართებელი წინააღმდეგია ამ ბოიკოტისა, მაგრამ იგი მაინც თან და თან ძლიერდება. ბოიკოტისტებმა დაარსეს საიდუმლო საზოგადოებანი და გამოაცხადეს, რომ ვინც იაპონურ საქონელს გაჰყიდის, ყურებს დააჭრითო. უკვე რამდენჯერმე აასრულეს ეს მუქარა.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის საშუალებით ნათელი მოვფინო იმ ამბებს, რომელსაც მაწერს მე გაზეთ „ამირან“ში (№ 182) ბ-ნი კრუხი. ნეტა რომელმა ბერმა უამბო ბ-ნ კრუხს ის, რასაც იგი გაზეთის ფურცლებზე ათავსებს, რომ ვითომ ქვათახევის მონასტრის გაცარცვა და მისი წინამძღვრის ნიკიფორეს მოკვლა, „ბერების სიტყვით“, ისე მომხდარიყოს, როგორც ის აგვიწერს. მართალია, იმ გვარი შემთხვევა იყო, რომ როდესაც განსვენებული წინამძღვარი ლოცვაზე იდგა, ვიღაცა ბოროტ-გამზრახველებმა მოინდომეს მისი საყდრიდან გამოყვანა, მაგრამ ეს იყო მაისში და არა მკვლელობის დღეს, 5 სექტემბერს. მონასტერზე თავდასხმა და წინამძღვრის სიკვდილი და არა მკვლელობა, მოხდა ღამის ტერთმეტ საათზე, როდესაც მთელი მონასტრის კრებულს ეძინა და ორიც გარეშე პირი იყო ჩვენთან სტუმრად—ერთი არმაზელი ბერი მამა მირიანი და მეორე ნათლისმცემლის ბერი მამა დიმიტრი, რომელნიც დაამტკიცებენ საქმის ნამდვილ ვითარებას.

მე აქ არ შევუდგები დაწვრილებით იმის ახსნას, თუ რაა მართალი და რა არა ბ-ნ კრუხის წერილში, მხოლოდ შევეხები იმ საგნებს, რომელსაც პირდაპირ მე მაწერს, ვითომ მე და განსვენებულ ნიკიფორეს ერთი ახლო ნათესავი ცხენებით ზვარში წავსულიყოთ და გზაში ქაღალდი ამომვარდნოდეს და იმას აელოს. რაც შეეხება იმ ქაღალდს, რომელსაც ბ-ნი კრუხი იხსენიებს, მართლა აღმოჩნდა ნიკიფორეს ოთახში და რადგან მე რუსული არ ვიცოდი, ამიტომ მიმქონდა მამა ბლაღოჩინთან, რომ მეჩვენებია მისთვის—თუ საჭირო რამ საბუთი იყო, მაშინვე გამეგზავნა, სადაც ჯერ იყო, და თუ არა, შემჩერებინა; ერთი მიძანეთ მე რომ მცოდნოდა, რომ ის ქაღალდი სწორედ ჩემზე „დანოსი“ იყო, განა ჯიბეში შევინახავდი და ან ბლაღოჩინთან წავიღებდი და მაშინვე არ დავხევდი? მაგრამ, აკი მოგახსენეთ, მე ამ ქაღალდის შინაარსი არ ვიცოდი და რაც შეეხება იმას, რომ იგი ჯიბიდან ამომვარდა, ესეც მართალია, მხოლოდ ზვარში და არა ცხენით მიმავალს. ეს ქაღალდი მართლაც აღმოჩნდა მამა ნიკიფორეს ოთახში და მასთან ერთად აღმოჩნდა კიდევ 170 მანეთი ფული, რომელიც მაშინვე ოქმში შევიტანე. თუ კი მამა ნიკიფორეს ამოდენა ფული სახლში ჰქონდა და ისიც სამ ნაწილად დაყოფილი და სამად შეკრულ-შებოჭვილები, მაშ რაღად დასჭირდა ჩემი შუაღამისას გამოღვიძება და ბოროტგამზრახველების ჩემთან წამოყვანა რომ ეკკლესიის კასიდან მიმეცა ფული; მას რომ თავის ფულიდან, რამდენიმე მანეთი მიეცა, მე მგონია, ბოროტგამზრახველები გაიფანტებოდნენ და მამა ნიკიფორეც გადარჩებოდა იმ სამს წიხლს, რომელიც განსვენებულს შეურაცხყოფად მიაყენეს, ეკკლესიის ფულიც ხელუხლებელი იქნებოდა და მონასტრის კრებულიც არ დაწიოკდებოდა!

შემდეგ „ბ-ნი კრუხი“ ამბობს რომ **ბერების განცხადებით**“ (ნეტა რომელი ბერია?), ვითომ ტყვია იყოს მოხვედრილი და აღმოჩენილა კი, რომ „კედელში ტყვია კი არა, დიდი ლურსმანი შეურჭვიათ, შემდეგ ისევ გამოუღიათ და ისევე ტახტის ქვეშ შეუგდიათ და ვითომ ეს ლურსმანი ნახესო“, ამაზე მეტი სიყალბე, მგონი აღარცკი გაგონილა! აბა, რომელი ყაჩაღი უნდა იყოს, რომ კედელში ლურსმანი შეურჭოს, მერე ისევ გამოიღოს და იქვე ტახტის ქვეშ შეაგდოს? აი, ბატონო, ბერები იქ არიან, მორჩილებიც იქ გახლავან და მთელი მონასტრის კრებულიც, ამოდენა ხალხში რომელი იტყვის, რომ კედელში ტყვია კი არ არის მოხვედრილი, ლურსმანია შერჭმულიო? დასასრულ ბ. კრუხი“ სწერს, რომ „წინამძღვარი უკრძალავდა ბერებს ცუდ ცხოვრებას, თვითონ ბერებს უთქვამთ რამდენჯერმე, რომ იგი ნებას არ გვაძლევდა ნახევარ ბოთლზე მეტი დაგველია. ნებას არ აძლევდა ხაზინადარს, ტყისღალა გლეხებისათვის იმდენი ეხდევინებინა, რამდენსაც წინად ახდევინებდა. ყველა ამისთვის ხაზინადარი მალაქია გადაჰკიდებია და უკანასკნელ ერთი თვის განმავლობაში უმძრახადაც ყოფილან“. ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია. არაფერი ამისთანა არ მომხდარა.

ხაზინადარი მღ. მონოზანი **მალაქია**.

რედაქტორ-გამომცემელი **ივანე სოზიაშვილი**.

განცხადებანი

მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

ფეხსაცმელის სახელოსნო

სრული პასუხის მგებლობა

ვამზადებთ ყოველნაირ საქონელს შეღავათიან ფასებში, ვასრულებთ სუფთად, მაგრად და დანიშნულ ვადაზე. ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა, N 28.

პატივისცემით

(20—6.—2) **ივ. ხვ. ბერძნიშვილი.**

სამკურნალო

სპეციალისტ-ექიმებისა [illegible] დან [illegible] ვანქის დიდ ქუჩ., [illegible] დის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

კალამქაროვი—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ. ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოჟოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგ. ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ათინიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 11 ნახ. ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ., ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევ ხოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—82)

ექიმი უ. მ. ჩიქოვანი

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზე, ვორონცოვის მეგლის მახლობლად საკუთარს სახლში, N 15; ავადმყოფებს იღებს 12—2 საათამდის ყოველ დღე. (25—591—17)

შედგენილი გრ. ჩარქვიანისაგან

ქართველთათვის, კათოლიკეთათვის, სომეხთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.

კედლის
კალენდარი
1909

გამოცემა ამხ. „სორაპანისა“.

ფასი 40 კაპ.

კედლის კალენდრის კარდონზედ დახატულია საზოგადო მოღვაწეთა სურათები. სხვათა შორის მოთავსებულია მეფე **ვახტანგ მეექვსეს სურათი** 200 წ. სტამბის დაარსების გამო საქართველოში და აკაკის სურათი მისი 50 წლის მოღვაწეობის იუბილეს გამო. ტფილისში კალენდრები იყიდება: წერა კითხვის გამავრცელებელ წიგნის მაღაზიაში, „ცოდნის“ წიგნის მაღაზიაში, „ალიონის“ წიგნის მაღაზიაში, „რეჩის“ წიგნის მაღაზიაში და სხვაგან.

დაიბეჭდა და 28 ამ თვეს გამოვა გასასყიდად **ჯიბის კალენდარი** 1909 წ., შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. კალენდარში მოთავსებულია, სხვათა შორის, ბელეტრისტული ნაწარმოები აკაკისა, სამეცნიერო წერილი ივ. გომართელისა, ისტორიული ცნობანი ზ. ჭიჭინაძის და სხვა. კალენდარში მოთავსებულია 30-მდე სურათი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა. ფასი კალენდრისა 20 კაპ.

კალენდრის გამყიდველებს დაეთმობათ 20, 25 და 30 პროცენტი იმის და მიხედვით, ვინ რამდენს იყიდის ერთად.

ადრესი კალენდრების საწყობისა: ტფილისი, სტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს. (10—6—3)

GRAND PRIX
1870 წ. პარიჟი 1900 წ. 1882 წ.
დედამიწაზე
1865 წ. 1896 წ.
საუკეთესო
გალოშები
სამ კუთხით
1860.
Т.Р.А.Р.М
С.ПЕТЕРБУРГЪ.
რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობა
ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“
ს.-პეტერბურგში
სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.
იყიდება ყველგან
(50—6.—31)

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.